



# ილორი

E-mail: roland.jalagania@mail.ru  
E-mail: r.jalagania@mail.ru



№412 (471) 15-29 აგვისტო 2017 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი  
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ენა – აკაკი შანიძე



**ზურაბ  
კვარაცხელიას  
ბლოგი:  
14 აგვისტო  
და ზვიად <sup>88.7</sup>  
ბამსახურდია...**



**მებრული  
<sup>88.3,10</sup>  
პოეზიის  
ანთოლოგია**



**ბევრისთვის უცნობი და  
საინტერესო  
ისტორიები აკაკი  
წერეთლის ვაჟის ცხოვრე-  
ბიდან <sup>88.6</sup>**

**ლუარა სორდია:  
მერაბ კოსტავას  
პოეზია**  
პოეტს მტკიცედ ეპყრა ხელთ საკუთარი  
ჯვარი და ქრისტეს ჯვარი, მარტვილო-  
ბისთვის მუდმივ მზადმყოფს... <sup>88.2</sup>

**ჰამლეტ ჭიკაბავილი: <sup>88.5</sup>  
ღირს, გაზის გაყიდვით  
მიღებული ფულის ფასად  
მსოფლიო მშვიდობის  
სასწორზე დადება?**



**უკანასკნელი  
ინტერვიუ <sup>88.6</sup>  
კასთან,  
რომელმაც 48  
ენა იცოდა**

**იზა თამაზაშვილი:  
რუსეთთან ურთიერთობის  
აღდგენის სურვილი თუ  
ორმაგი სტანდარტი? <sup>88.8</sup>**



**ტყვიის გაღებებელი  
ოღანობა, უმეზსად,  
აღბლობრივ საქონლის  
სორსსა და სურსათშია <sup>88.7</sup>**



**ლავრენტი  
ბერიძე —  
საბჭოთა  
კავშირის  
ცილდანამებელი  
გმირი <sup>88.4</sup>**



**ბუთუ- <sup>88.9</sup>  
რაულის  
წყარო  
ღიაბაბს  
არჩენს?!**

# მეჩაბ კოსსპაპას პოეზია

პოეტს მტკიცედ ეყრება ხელთ საკუთარი ჯვარი და ქრისტეს ჯვარი, მარტივობისთვის მუდმივ მზადყოფნას, ყველა განსაცდელის ვაჟკაცურად გამძლეობს, საღვთო ცეცხლი და ჭეშმარიტება ემოსა, რადგან იცოდა, რომ **“...დღეს მსხვერპლი იწირვის სულით, საღვთო ცეცხლით და ჭეშმარიტებით”** (გალაკტიონი) (1,157).

**“გონის თვალთ”** მომადლებული, საღვთო სიბრძნის ეძებდა და მას აიგივებდა ღმერთთან: **“სიბრძნეს დაწმენდილს ნათლის სვეტად აღვიქვამთ მუღამ”** (ბიბლიური რემინისცენციები).

**“სიბრძნე”** და **“ნათლის სვეტი”** საღმერთო სახელებია.

ლაჟვარდების მკვიდრია **“სიბრძნის წყარო”** (ღმერთი) და პოეტი მიწვივ ტატნობებში ეძებდა თავის წილხვედრს: **“და ნუ დაჰკარგავ შენ იმ ტატნობებს, სადაც ლაჟვარდებს ეტრფის არწივი, მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობოს შენი წილხვედრი, შენი არჩივი”**.

ნ. ბარათაშვილიც ხომ თავის ხვედრს ზეცაში ეძებდა: **“ეძიე, ყრმოს, შენ ხვედრი შენი, ვინმე იპოვო შენი საშვენი”** (ხმა იღუმალი).

ოკეანის დაურევებით, **“სიბრძნის წყარო”** ამკვიდრებდა სულში სხვა პლანეტას, ახიარებდა სფინქსის ქარაგმების სიბრძნეს: **“და ოდეს ვნებას ოკეანეთა, გარდაჰქმნი პირმშოდ შენივ ნებისა, სულში ჩადგება სულ სხვა პლანეტა, სხვა სიბრძნე სფინქსის ქარაგმებისა”** (სფინქსი) (1,16-17).

მერაბ კოსტავას პოეზიაში სულიწმიდა სიბრძნის, ნიჭის მომნიჭებელია, რადგან **“სულიწმიდა... თქმის სულად ჭეშმარიტებისა და სიბრძნისა”** (3,341).

სიბრძნე ორგვარია: **“მიწიერი, მშვიინვიერი, ეშმაკეული სიბრძნე და მადლით გარდამოვლენილი, წმინდა, მშვიდობიანი, ღმობიერი, წესიერი, წყალობითა და კეთილი ნაყოფით სავსე, მიუკერძოებელი და უთვალთმაქცო სიბრძნე”** (იაკობ მოციქული, 4,13,14,15,16,17) (4,298).

პავლე მოციქული განასხვავებდა **“ქვეყნიერების, წუთისოფლის სიბრძნეს და ღვთის სიბრძნეს”** (I კორინთელთა, 2,6,7) (4,358), **“ხორციელ გონებას”** (კოლასელთა, 2,18) (4,432), **“ხორციელ სიბრძნეს”** და **“ღვთის მადლს”** (I კორინთელთა, 2,7) (4,358).

სულიწმინდას **“ფალაგან მწიგნობარს”** უწოდებდა წმ. ბასილ დიდი (7,140).

სულიწმინდის მადლია **“სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, განკურნებითა ნიჭი, სასწაულომსქედების, წინასწარმეტყველების, სულების გარჩევის, ენების ცოდნის, ენების განმარტებების ნიჭი”** (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,9,10,11) (4,374).

ღვთისმეტყველებაში სულიწმინდის მოქმედებას უკავშირდება ტერმინი **“მობერვა, დაბერვა, შთაბერვა”**.

**“სადმერთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, “ზეშთაგონება”, წერდა გრიგოლ ნოსელი (პასუხი ექუსთა მათ ღვთათათვის) (8,376).**

**“ორგიკულ არგონავტიკაში”** უფალს მომბერავი ეწოდება, ხოლო **“მობერვა”** შთაგონების აზრით გვხვდება შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში (9,39).

პეტრე იბერის (ფსევდო დიონისე არეოპაგელის) შრომებში ზვიად გამსახურდია ყურადღებას მიაქცევს ტერმინებს **“სადმერთო მობერვა”** და **“მღვდელმთავრობითი მობერვა”** და აღნიშნავს, რომ **“მობერვა”** უკავშირდება სულიწმინდას.

**“მოციქულთა საქმეში”** სულიწმინდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან, ასკენის ზვიად გამსახურდია (10,294). მეცნიერის დაკვირვებით, ჩახრუხადის **“თამარიანში”** **“საუფლო სული”** ანუ სულიწმინდა შედარებულია ნიათთან, რაც იქვეც **“მობერვის”** ასოციაცია.

ხ. გამსახურდია აღნიშნავს: **“ახალ აღთქმაში ქრისტე არის “მომბერი სულისა... ადღვთის შემდეგ მაცხოვარმა მოწაფეებს “შეპბერა და პრქუა: “მიიღეთ სული წმინდაი” (იოანე, 2,10) (11,64).**

სულიწმინდის ქნარი ეწოდებოდათ

გამორჩეულ კიმნოგრაფებს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს. სულიწმინდის კარნახით იქმნებოდა ბასილ დიდის პომილიები, სულიწმინდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

სულიწმინდის მადლით ჭვრეტდნენ ღვთაებრივ საიდუმლოს წინასწარმეტყველნი, რადგან ნიჭთა და მადლთა გამანაწილებელი სულიწმინდაა.

კიმნოგრაფიაში საუბარია საღმერთო ნიათის მობერვაზე: **“ღამპრითა ბრწყინვალითა სათნოებითაითა განპბრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალითა სულისა წმინდისაითა და მომბერენ ჩუენ ნიათთა საღმერთისა მადლისათა სწავლანი სულიერნი და შესცვალენ ცნობანი სულელნი სიბრძნედ, ნეტარო და უმეტრებისა ბნელი განიქმარე”** (ბასილი, “გალობანი ეფთვიმე მთაწმინდელისანი”) (12,508).

**“ის, რაც ღვთისგან გამოდის, როგორც სიყვარული, შობილი ძე როდია, არამედ სიყვარული სული (სულიწმიდა)”** (თომა აქვინელი) (10,64).

სულიწმიდა გვხვდება ვაჟა-ფშაველას **“ბუნების მგონებში”**, **“ქებათა ქებაში”**, გალაკტიონის პოეზიაში (13,86-91).

სულიწმიდის პერსონიფიკაცია სახარებაში არის მტრული, ცეცხლის ენები.

მერაბ კოსტავას ლექსში **“ვერაფერმა განაქარვოს”** (1,20-21) სულიწმინდა ხან **“მტრედვით გაღურსული”**, ხან კი **“უშრეტ ალად ანთებული”** ვლინდება, ათასთვალ, ქვეყნად დაუტეველ, უჩინარ, მჭვრეტელთან უხილველ სულს მოუთმენლად ელიან **“ბრძენთა გულები”**: **“ვერაფერმა განაქარვოს ხსოვნა გარდასულისა, საიქიოც, სააქაოც სუნთქვა არის სულისა... ღანსებში ჟონავს სული აისობის რიალით, ხან მტრედვით გაღურსული, ხან ელჭექის გრიალით, ანთებული უშრეტ ალად, ბრძენთა გულის მღვეველი, ათასთვალი, ათასთვალი, ქვეყნად დაუტეველი”**.

სახარებაში იესო ქრისტე იოანესთან მონათლა იორდანეში და როცა **“ნათელდებული იესო... ამოვიდა წყლიდან და აჰა, გაიხსნენ ცანი და მან იხილა ღვთის სული, მტრედვით გარდამოვალა, მასზე რომ ეშვებოდა და აჰა, ხმა ციდან მტყველი: “ეს არის ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე”** (მათე, 4,17) (4,5).

**“შებერვის”** ცნება გვხვდება იოანეს სახარებაში, როცა აღდგომის შემდეგ ქრისტე შეხვდა თავის მოწაფეებს:

**“კვლავ უთხრა მათ იესომ: “მშვიდობა თქვენდა! როგორც მე მომავლინა მამამ, მეც მიგავლენთ თქვენ”**.

**“ეს რომ თქვა, შეუბერა და უთხრა: “მიიღეთ სულიწმიდა”** (იოანე, 2,21,22) (4,225).

მოციქულთა საქმეებში საუბარია ქარის დაბერვაზე, ცეცხლის ენების მოფენაზე და სულიწმინდით ავსებაზე:

**“მოულოდნელად იყო ხმაური ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო და აავსო მთელი სახლი, სადაც ისინი ისხდნენ”**.

და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, თითქოს ცეცხლისანი და სათითაოდ მოეფინა ყოველ მათგანს.

ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ” (საქმეები, 2,2,3,4.) (4,230).

მერაბ კოსტავას ლექსში, ახალი აღთქმის კვალობაზე, სულიწმინდა ცხადდება, როგორც **“უშრეტ ალად ანთებული”**.

სულიწმიდა **“უჩინარი მხლებელია”, “მჭვრეტელთაგან უხილველი”** (1,20).

პოეზია **“ღვთაებრივი სიგიჟა”**, შთაგონება კი **“ჟამი ქროლევისა: “...ჰა, საკანი დაუტევა, დადგა ჟამი ქროლევისა. ვიცი, ვერსად დაეტევა, აღმსებია ყოვლისა. ვიცი, ვერსით აღუდგება ვერა ზღუდუკედელი, როცა ბორბტს განუდგება ხუნდბორკილთა მკენეტელი”** (ვერაფერმა განაქარვოს) (1,20-21).

იოანე ნათლისმცემელი ამბობს იესოზე: **“მე წყლით განათლავთ, მაგრამ მოდის ჩემზე ძლიერი... ის მოგნათლავთ თქვენ**

**სულიწმიდით და ცეცხლით”** (ლუკა, 3,16) (4,116).

მშობლიურ შემოგარენში, უფლის წმინდა სახლებში – ზედახენსა და მცხეთაში შეიგრძნობს მერაბ კოსტავას ლექსის ლირიკული გმირი **“ცით მონაბერი ოცნების ქარის”** – სულიწმინდის ქროლევის: **“ვინ დაგაქარვა ეგ ზედახენი, ვინ დაგაქარვა ეგ მცხეთის ჯვარი, რა სიწმინდენი, რა სინახენი, ცით მონაბერი ოცნების ქარი”**.

პოეტი ეძებს სიბრძნეს, სულიწმინდას, როგორც **“ჭეშმარიტების სულს”**: **“თუკი სამყაროს აზრია ღმერთი, გზაა სიბრძნეც და ჭეშმარიტებაც”** (ირაკლის) (1,126-127).

და პოეტი უგალობს **“მსოფლიო დედას, სულიწმიდას”**, სიბრძნის სულში დამკანებელ სახეებს: **“მსოფლიო დედა სულიწმინდა გადმოიდგარა, თქვენა ხართ მისი ღადადისი და გარინდება, ბრძენო იზიდავ, სათნო სიტავ, მზეგარძელო სარა”** (ბიბლიური რემინისცენციები) (1,98).

**“ჭეშმარიტების ჭვრეტა”** მხოლოდ **“ზეციური ნესტრით ვნებულთ”, “არსობის პური”, “ცხოვრების პური”, გაბრძნობილთ ხელეწიფებათ.**

**“სიბრძნის დედა სიკვდილზე ფიქრები”, “მადალი აზრები”, ჭეშმარიტების ჭვრეტის საშუალებაა: “სიკვდილზე ფიქრებს, სიბრძნის ამ დედას, თუ სამარცხენოდ არ გაექცევი, ჯანგალეული სხეულის ჭვრეტა შემაზრებ შიშად თუ არ გექცევა, მადალი აზრი უფსკრულთა ზედა, გარეშემოთა და შენდა ბედად, კვლავაც აღგმართავს ხელთუქმნელ სვეტად, ჭეშმარიტების შენისა ჭვრეტად, მშობლიურ ცასთან კვლავ შეგაერთებს”** (შიმშილობა) (1,133).

მხოლოდ **“უდრეკი ნების”** მქონეთ, **“მდარე სურვილებს”** დამძლევეთ, მუდმივად ამადლებულის მიძიებელთ ხელეწიფებათ ჭეშმარიტების წვდომას: **“უდრეკის ნებით ვინც წარხოცავს სურვილებს მდარეს, მუდმივი სწრაფვით მოიპოვებს ჭეშმარიტებას”**.

**“ბრმადშობილები”** კი სიბნელეში რჩებიან, ცნობიერება, მადალი აზრი მათთვის მიუწვდომელია (ბიბლიური რემინისცენციები) (1,89).

მხოლოდ სიბრძნის წყარო შეგვაცნობინებს ადამიანობის არსს, ჩვენს დანიშნულებას, ამიტომ ხამს ტატნობებთან მარადიული კავშირი: **“და ნუ დაჰკარგავ შენ იმ ტატნობებს, სადაც ლაჟვარდებს ეტრფის არწივი, მან, სიბრძნის წყარომ, ერთმა გაცნობის შენი წილხვედრი, შენი არჩივი”** (სფინქსი) (1,76).

**“სიბრძნის უჩინარ ტახტს”** მაცდურნი ამოდ ეპოტინებიან (ქარვა გაუხუნდათ ალევებს) (1,66-67).

ამადლებული, გაბრძნობილი სულის პერეოგატივია შეცნობა **“ქველის და ავის”, “სფინქსის ქარაგმების”** წვდომა (ეტიუდი), **“ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი”**.

მხოლოდ **“შეუცდომელი ბრძენი და მისანი”** უსწრებს დროს და წინასწარ დალადებს მოსალოდნელს: **“რა დაადუმებს შეუცდომელ ბრძენსა და მისანს, თუ უწერია აღსრულება წინათქმას მისას”** (ბიბლიური რემინისცენციები).

პოეტის იდეალია **“ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართ მოძღვარი”, “საღვთო ეთიკის”, “ზეცის ზნეობის”** მიმდევარი.

ეკვიპტეში ეგულება მერაბ კოსტავას **“სიბრძნის კარი”, “წარუვალი საუნჯე”** (ბიბლიური რემინისცენციები).

ინტერესის საგანია **“სიბრძნით მოსირმული გზა ოდისევისა”** (შვენის ირლანდია მზიური ღანდი), გილგამეშის სვედა (ირაკლის), ფილოსოფოსთა სიბრძნე – **“ფილოსოფიის ვეწიე სიბრძნეს”** (შიმშილობა).

**“წიადთა სიბრძნის აიაზმად”** მასხურებლებად ისახებიან სულიერი მამები, მათგან ისმის **“საღვთო ჰანგი”**. მათ ასხიათ **“რწმენის აბჯარი”, უპყრიათ “სულის საჭრეთელი”: “სული, სიტყვის მახეობი”, მშოსავთ “უშრეტ ცეცხლი”: “უშრეტი ცეცხლი მოაზღვავებ ქერუბიმული, ცეცხლი, რომლითაც მიაპობდით უსიერ წყვდიადს”** (1,108).

ისინი იყენენ **“მადალ სასწაულთა”** ხელ-

დასმულნი, **“სულიერი ომების სპარეზენი”, “ზნეობის რაინდები და ღმერთკაცები, ჩვენი კაცობის ბასტიონები, რომელთაც ღვთის შებორკეს ბილწი დემონები, სტანები...”** (ღირს მამა დავითს) (1,104-111).

**“მიწის საგზურის”** უარყოფელი, **“მზერაუქცეველ აღმართხედვით ნამწვერვალეები”, იღუმალთმწვედომი, “ფიქრების საკმეველით შემოჯარული”, “სიტყვით ნათლისმცემელი”** წმინდა მამა ზეცას იგულებდა თავის მარადიულ სამშობლოდ (ღირს მამა დავითს).

მერაბ კოსტავა ეპოტრულ სიბრძნეს ხელადა მრავალი მაგიდის, გრაალისა და ტაძრული რაინდთა შორის და აღნიშნავდა, რომ ისინი **“უშუალო კონტაქტს ამყარებდენ სულიერ სამყაროსთან”** (მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991, გვ. 43).

კოსმიური მასშტაბის სიბრძნეს პოეტი მხოლოდ გალაკტიონის პოეზიაში იგულებდა: **“გაიერთსახე, რაიც დაჰყავი, როცა სამყარო საცნაურ ჰყავი, როს სულის წრთობას ხელი მიჰყავი, რადგან კოსმოსი თავად იყავი”**.

მიწისა და ზეცის საიდუმლოებათა შეცნობის მაგალითი პოეტების მეფის შემოქმედებაა: **“შენ იმ საწყისებს, მიწიერს, ციურს, შემოქმედების ჟინით ავსებდი...”**

**“სიბრძნის იმ ერთი დარგის”** სრულყოფილი გამოვლინების ნიმუში მერაბ კოსტავასთვის გალაკტიონის პოეზია იყო: **“მზეთა ორგია გზანგავდა ძველი, მთვარის მაგიას არც შენ მიპრიდე, ახალუხლებსაც დაასხი ხელი, სიბრძნის იმ ერთ დარგს რაც დაჰწინდე”** (გალაკტიონი) (1,145,159).

პოეტის გული იყო **“გული საუფლო”, “ეთიკა უზენაესი”, “ადათები საღვთო”, მისი ლექსი – “მოყვასისათვის გადებული საღვთო ზვარაკი”. “რელიგიის ზედაშე”** იყო მერაბ კოსტავას ლტოლვის საგანი.

პოეტს აფიქრებდა ატლანტიდა, სიბრძნის ოკეანის გაუჩინარება, **“მსოფლიო კულტურების თანმიმდევრობა”, “ცნობიერების გრადაცია განუწყვეტელი”, მითოსის სამყარო, “სიბრძნე არაკის”** (ბიბლიური რემინისცენციები) (1,97-98).

**“ქველისა და ავის შემცნობ”** პოეტს იტაცებდა შუამდინარული ეპოსი, ენქილდუ, გილგამეში, უნაფიშითი, სფინქსის ქარაგმების სიბრძნე, **“ზედამტაცი ინდოეთი”** (შვენის ირლანდიას), 72), ბიბლიური წინასწარმეტყველები, მსაჯულები, მოციქულები, დავითი, სოლომონი, მოსე, ელია, იოანე.

მოწიწებით ასხენებდა გოეთეს, ტოლსტოის, შამილს, განდის, რადგან მათ **“ირჩიეს მხოლოდ გეზი მთავარი, დაჰმეგს წგრებლმანი ათი ათასი”** (შიმშილობა) (1,133).

პოეტი მოძღვრავდა თაობებს: **“ესწრაფონ მხოლოდ წარუვალი საუნჯის პოვნას, იმათ წიადში მოიპოვონ სული ცხოველი, კანონს სიქველე შეაშველონ მოყვასის მიმართ”**.

იდეალად ესახებოდა ბიბლიური აბრაამი, უზენაესი ძალებისკენ სწრაფვის გამო: **“იღუმალების სურს გასტეხოს შეუვალობა, შეცნოს თავი, უმადლესი გახდეს მისანი, გულს შეგზნებთა საღვთო ცეცხლი გასაოცარი, ზეშთაგონებით გაბრძნობილი მოძღვართ-მოძღვარის”** (ბიბლიური რემინისცენციები) (1,92-93).

მერაბ კოსტავას პოეზიაში მრავალგზის გვხვდება ცნებები: შეცნობა, საცნაურყოფა, შემეცნება, ცნობა.


ამ სამყაროს ცენტრში აღმართულია **“თემიდას სვეტი”, როგორც სიმბოლო უზენაესი სამართლიანობისა, მომავლის მეკვლე: “...თემიდას სვეტი, მეკვლე დამდევს, პიროვნულ ეგოს სულმითლად დამთობი”** (შიმშილობა)!

აქ **“გონის თვალი”** სწონის ყველაფერს... წმინდა მამა გვირჩევეს: **“ნუ დათვრებით ღვინით, რომელიც ადვირახსნილობაა, არამედ ადვირებით სულით”** (პავლე მოციქული, ეფესელთა, 5,18) (4,420).

**ლუარა სორდია,**  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# მეგრული პოეზიის ანთოლოგია



**მეგრული პოეზია** ლამის ორი საუკუნეა, რაც წვეთ-წვეთობით გროვდება ფოლკლორული ნიმუშების დონეზე – ა. ცაგარელის, ი. ყიფშიძის, ა. შანიძის, კ. საშუმას, ტ. გუდაგასა და აბ. ცანავას გამოცემებში. წინამდებარე კრებული ჯეროვნად ესესხება წინა თაობების მონაგარს და ძირითადი რეპერტუარი მინც ახალი გვარ-სახელებია, ახალი ინტონაციები და განწყობილებანი. თუმცა ჩვენ ამ გამოცემას წამოთავსებთ არ ვანიჭებთ რჩეულის, ან შედეგების პოეტურ კრების თაობას, არამედ, მოვიშველიებთ ოქრომრავალი კოლხეთის უშუალო შთამომავალთა სულიერების ესთეტიკურ შინაშეცხვას.

რაც შეეხება თავად მეგრულ ლექსს, აქ დაძლეულია პოეზიის ყველაზე ურთულესი სახე – ეპიკა და მინც მის მასულდამუშავებელ წყაროდ ლირიკა გვევლინება. წარმოდგენილი წიგნი ამსხვრევს ხალხური შემოქმედების ტრადიციული პოეტური სახომის – შაირის არტახებს და გზადაგზა კლასიკურ ფორმებსაც გადაწვდება, როგორცაა: ტრიოლეტი, სონეტი, რობაია, ვერლიბრი, იაბონური ტანკა თუ ხაიკუ. თავად მეგრული პოეზიის სათავე მითოსური წარსულიდან საწყისდება, სადაც მზე დედაა ჩვენი, მოვარე – მამა და სახეგაბადრული ვარსკვლავები – და-ძმანი, ანუ, მისი სხეული ფორმირებულია სამართლის მხარდამხარ და აზროვნების ამ სიდიდის სწორუპოვარი ძეობის უფლებამოსილებით. ესთეტიკური კრიტერიუმებით მეგრულ ლექსს გამოარჩევს ადრინდელი პოეზიისთვის ნიშანდობლივი სისადავე და ევროპული ჰერმეტიკა შუემრული „მე“-ს პოზიციიდან. ამ მისტერიაში კი მისი მახასიათებელი მთავარი ფასეულობა შუბლის ძარღვია, რასაც განაგებს მისგან მიწის ჩამოწვევების მომსწრე ყველაგანმავალი დრო – ნებისმიერი მოკვდავისთვის პატივის მიძღვები დამსახურებისამებრ სიცოცხლის სასრულს.

**„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“** ფოლკლორის კვლადაკვალ წარმოგვიდგენს განსხვავებული ასაკისა და პოეტური ტემპერემენტის ერგას (50), ნათელში მყოფ თუ სვეკურთხეულ ავტორს, რომელთა შემოქმედება წიგნში მხოლოდ ნაწილობრივადაა ასახული, განსაკუთრებით – პოემები. გამოცემის მიზანია მეგრული ლექსის გატანა საერთაშორისო არენაზე და ყოველივე ამას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ცნობილ ქართველ ქველმოქმედებს: **ომარ ღურჯაიასა და სულხან პაპაშვილს.** დარწმუნებული ვართ, დასახელებული გამოცემა უეტველად აღუძრავს ამაღლებულ განცდას ნებისმიერ ჰუმანიტარულ მითხველს, რათა **იოანე-ზოსიმეს** წერილისამებრ ცივილიზებულმა კაცობრიობამ კოლხური სული აღიქვას, როგორც **ლაზარეს** აღდგინება, როგორც წვეთიდან ოკეანეს აღმოცენება, როგორც გვიმრუჭას ხე-გვიმრად აღხვეების მისტერია და დღე ერთი იგი გასაგნებრდეს, ვითარცა წელი ათასი.

**კოლხური კულტურის ალორბინების სამეფომომელო ფონდი**

**აჭმე წიბნებს თაზიანთი ბედი!**  
„გამოცემის მიზანია მეგრული ლექსის გატანა საერთაშორისო არენაზე“ ვამბობთ წიგნის სამეორვან (ქართული, რუსული, ინგლისური) ანოტაციაში, მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილობრივ თუ ასახავს იმ მიზანსწრაფულობას, რაც ამ მონუმენტური გამოცემით საწყისდება ქართულ (და არა მხოლოდ) ცნობიერებაში. დაუნჯებულ

მკითხველს ვაუწყებთ, რომ თითქმის წელიწადი იწურება, რაც „მეგრული პოეზიის ანთოლოგიაზე“ მუშაობა დაეწყო, თუმცა ამ ხნის განმავლობაში ჩვენ წამოთავსებთ არ დაგვივიწყებია ამ გამოცემის გაცილებით შორსმთავალი მიზანი – შეგვექმნა პრეცედენტი და პოეტური სიტყვის მაგალითზე გვენახებინა მსოფლიოსთვის პროტობიბრიული სულიერების ხედვრითი წილი სრულიად დედამიწის მასშტაბით. ეს სამწიგნოელი წარმონიშნება შემდეგი დასახელებით: **„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“**; „ქართული პოეზიის ანთოლოგია“; დაბოლოს – „მსოფლიო პოეზიის ანთოლოგია“.

არიან ძალები, რომლებიც წინამდებარე გამოცემაში სეპარატიზმის ავბედით ბაცილას ხედავენ და ათას კითხვას დასვამენ ხოლმე, მაგრამ გვინდა დავარწმუნოთ ეს ურწმუნო თომანი, რომ სამეგრელო ვერ გამოდგება აფხაზეთის მაგალითად.

მომდევნო ანთოლოგიები – ქართული, მსოფლიო თავის წიაღში შემოიკრებს საკუთრივ ქართულს და მის აღმავსებელ ნაწილებს, სვანურს, მეგრულს, ლაზურს, ხევსურულს, თუშურს (ე. თათარაიძე), მოკლედ ყოველივე სახეგვარს, რისი შემწეობით მოგვიწვია დღემდე.

განა რამე განსაკუთრებული ითქვას, რაც ადრე არ გაუღებულყოფილს ჩვენს ერისკაცობიანთ! სწორედ ამ შეძახილმა გავგვასვენა უნებლიეთ ჩვენი სულმნათი წინაპრების სიტყვები სამეგრელოზე:

აკაკი წერეთელი: **„მეგრული დღეს საღაროა ნამდვილი ქართული სიტყვების. აღმოსავლეთ საქართველოს დაკარგვია ნამდვილი ქართული სიტყვები, მათ ნაცვლად სომხურ-სპარსულ-თათრული შემოუღია, რომელიც ქართველის ყურს ცუდად ეჩხრება და გულსა სწყინს და მეგრულ ენაში კი შენახულან ობოლ მარგალიტებად ის ძველი სიტყვები. ჩვენ ვურჩევთ ჩვენ მწერლებ-მწიგნობრებს, მეტი ყურადღება მიაქციონ მეგრულს, რომ იქიდან ამოკრებილ სიტყვებით შეივსონ დღეს შეღახული ქართული ლექსიკონი“.**

ილია ჭავჭავაძე: **„თუ მეგრული ხარ, ე. ი. ყველაზე დიდი ქართველი ხარ იმიტომ, რომ კოლხეთის სამეფო იყო პირველი კოლხური წარმონაქმნი, მაშინ, როდესაც არ არსებობდა, ერთი კრებითი სახელი ქართველთა „საქართველო“! თუ მეგრული ხარ, ე. ი. ძალიან ამაყობ, ამაყობ იმიტომ, რომ საქართველოს უძველესი შვილი ხარ! თუ მეგრული ხარ ე. ი. ღმერთმა ორი მშობლიური ენა მოგვა ოდიოთან კოლხური – ზანურ-ჭანური, რომლის მემკვიდრეა რა თქმა უნდა მეგრული და რა თქმა უნდა ქართული, მშობლიურია ორივე ჩემთვის! თუ მეგრული ხარ, ე. ი. ტაბილი მეგრული ნანა გსმენია დღესაც! თუ მეგრული ხარ მორდუობა შენთვის ძალიან დიდი რამაა! თუ მეგრული ხარ, ტერენტისიანი ხარ! თუ მეგრული ხარ, ძალიან დიდი ქართველი ხარ და დანარჩენი საქართველოს დედა ბოძი ხარ! სამეგრელოში მოველ და საქართველო ვნახე – დიდი საქართველო! ბევრი ჭირი უნახავს საქართველოს, მზავალს ქართველს გადაუვლია ბრძოლვად მისსა, მაგრამ ყოველთვის ვამსა რდევებსა და გაწილებებს... მეგრეთა მისთა დამთრგუნველი სამეგრელო იყო; იგი იყო ერთსული და ერთგული იმ სხეულისა, რომელსაც საქართველო ეწოდება. ასე იყო წინეთ, ეგრე არის ახლა, ეგრე დარჩენა მომავალშიც“.**

**„ბატონი ომარ, ბატონო სულხან, – ნათქვამია წიგნის შესავალ წერილში, – გავიცნობიერეთ ეს ყოველივე და ჩვენს შემოქმედებსდავარად დაეცრიადლით – ამ ორი ათეული წლის განმავლობაში შევექმენით პირველი მეგრულენოვანი ეპიკური პოემა „ოლია“, რომელიც პომეროსთან („ილიადა“, „ოდისეა“) და ვირგილიუს პუბლიუს მარონთან („ენეიდა“) ერთად წარმოაჩენს ტროას 10-წლიანი ომის ბატალიებს, ოღონდ – კოლხური სივრცეიდან, კოლხური პრიორიტეტებით; შევექმენით A-4 ფორმატის მონუმენტური „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ და ახლა ვცდილობთ მის ტირაჟირებას საკუთარი ძალებით... გამოვა წიგნი, მაგრამ იგი ვერ იქნება მიზანსწრაფული, ვინაიდან, ხელმომწერები მიიღებენ კუთვნილ ვებმმლარებს და მორჩა, თავად პროექტს თავისუფალი ვებმმლარები აღარ დარჩება მისი შემდგომი პროპაგანდისთვის; ამასთან, თქვენნაირი ავტორიტეტული ხალხის უმესვეურად, წიგნს მოაკლდება საკლასიკურების ნიშანი – უთვისტომის დამსგავსება იგი. არადა, დარწმუნებული ვართ, პროექტში თქვენი მონაწილეობა**

მას მიანიჭებს ამაღლებულის განცდას; შესვენს საპრეზენტაციო სივრცეს ვერბანაში, აშშ-ში, რუსეთში, თურქეთში. სხვანაირად ვერ გადაიქცევა იგი მოვლენად, შემობრუნების ტოლმადოვან პროცესად, უმწეო რეიტობას დასჯერდება... და პა, ბატონო ომარ, ბატონო სულხან, რადგანაც უკეთესი მეოხი ვერავინ დაგუსაზღვრეთ პოტენციაში კოლხსაღური მამულიშვილური მუხტის შემცველ პროექტს ჩვენსას, სამშობლოს მომავლის სახელით, გთხოვთ, ჩვეული გულითხმეობით უწინამძღვრეთ და ფინანსურად მხარი დაუჭიროთ მას, როგორც ფეხზე მოსიარულე ეკლესიას. **გვარავდეთ ღმერთი! ამინ!“**.

და პა, საერთო ძალისხმევით გამოსულია ეპოქალური პროექტის – 3-ტომულის I წიგნი „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“, დანარჩენი ორი – ქართული და მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიებიც მალე გამოვა. ხოლო ჰუმანიტარული პოეზიის მოყვარული წიგნების მაღალითა ქსელში **„ბიბლუსი“** შეუძლიათ შეიძინონ მაღალპოლიგრაფიული დონეზე შესრულებული მონუმენტური **„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“**, რომლის საცალო ფასი 30 ლარია.

## „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ ეროვნული აკადემიის გადმოცემისად

21 ივლისი, ალბათ, ერთ-ერთი უმთავრესი ნიშა გახდება მომავალში ქართველთათვის, ვინაიდან იგი გაუვივდება ქართული სახელმწიფოებრიობის სინთეზური აზროვნებისკენ შემობრუნებას. დიას, ჩემო ძვირფასებო, სინთეზური აზროვნების დეფიციტი რომ არა, ჩვენს სახელმწიფოებრიობას საუკუნეების განმავლობაში არ დაეუფლებოდა გამუდმებული შევიწროება-შეკუმშვის სინდრომი, მიყოლებით არ დაგვეკარგა ჩვენი ორგანული ტერიტორიები – ბიჭვინთა, ზაქათალა, ლორე, სამანაბლო, აფხაზეთი, ლახისტანი და ა. შ. დიას, სინთეზური აზროვნების, ნაწილისა და მთელის შეთანაწიების მეთოდოლოგიის უქონლობის გამო უთავბოლოდ ვბოდილებდით ათასწლეულების, საუკუნეების განმავლობაში და სავალალოდ ვართ ის, რაც არ უნდა ვყოფილიყავით – ჩაჩანაკები. ჩემი დრამა რწმენით, 21 ივლისს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში **„მეგრული პოეზიის ანთოლოგის“** პრეზენტაციით წერტილი დაესვა ამ მართონულ ეთნოფსიქოლოგიურ დეზორიენტაციებს.

პრეზენტაციაზე გამოსულ მეცნიერთაგან განსაკუთრებულად გულში წამწვდომი იყო არნ. ნიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს **ავთანდილ არაბულის** გამოსვლა, რომელმაც ეპოქალური მოვლენა უწოდა **„მეგრული პოეზიის ანთოლოგის“** გამოცემას და, დიასაც, ეს ფაქტი მიიწინა საწყის ეტაპად, რომელმაც ხელის ერთი მოსმით დაამხო ფსევდომეცნიერული სოციო-ლინგვისტიკის, სოციო-ისტორიოგრაფიის უსუსური მცდელობანი, პატრონილურად გაასაღოს მათი **„პოზიცია“**, ურომლისოდ თითქოს გამორიცხულია რაიმე სახელმწიფოებრივ პოპოგრესზე ლაპარაკი. **ბატონმა ავთანდილმა** მკვეთრად გამოიჯნა ჰუმანიტარული და სოციო-მეცნიერებანი, და აქვე დაუხანებელ საქმედ დაასახელა ქართველურ ენათა სინთეზური ლექსიკონის გამოცემა, სადაც, მაგალითისთვის, **სამშობლოს** სინონიმად დაჯდება საკუთრივ ქართული მამული, აჭარული **მემლექეთი**, სვანური **ლარდა** და გიმ, მეგრული **ოდაბადე**, ობადეში, **შურობუმე** თუ ლაზური **დობადონა**. ამ გადაწყვეტილებამდე მისული ენათმეცნიერული დოქტრინა, ფაქტობრივად საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოწყობის მატრიცასაც ასაწყისებს.

წარუშლელი იყო ბატონ ავთანდილის განაცხადი იმის შესახებაც, რომ, დიასაც, **„მეგრული პოეზიის ანთოლოგის“** გამოცემით შეივსო ქართულ სულიერებაში ვაკუუმივით გაჩენილი 25-საუკუნოვანი მითოსური პოეტური სიცარიელე, როცა ამ მონუმენტური კრებულში ფრაგმენტულად წარმონიშნა **გური ოტობაიას** ეპიკური პოემა **„ოლია“**, რომელმაც შთამბეჭდავად გაგვიცოცხლა ტროასდროინდელი პროტოქართული რეალობა.

ბევრისმთქმელი იყო საქვეყნოდ აღიარებული აკადემიკოსის, ბატონ **თამაზ გამყრელიძის** დელიკატური განცხადება იმის თაობაზე, რომ პომეროსის სამყაროში ოქროს საწყისის იდენტურია კოლხური **„კოე“**, რომელიც უეტველი სათავეა მერმინდელი ტყავისა.

ყურადსაღები გახლდათ ამ დონისძიებაში მონაწილეთა პათოსი, აკადემიკოს **როინ მეტრეველის** გონებადაუნჯებელი მეცნიერის კვალობაზე ეროვნულ მიღწევად დასახელება **„ანთოლოგისა“**; ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ბატონ **ბაკურ გულუას** მინიშნებებანი, იმის შესახებ, რომ **„მეგრული პოეზიის ანთოლოგის“** გამოსვლით ახალი ერის საწყისდება ქართულ სინამდვილეში.

ლოკალური ხასიათის გახლდათ პოეტების: **ლია ნაროშვილის**, **მიმონა ცანავას**, **ლაშა გეასაიას**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ, **დავით ქობაიას** სახელდახელო ვიზიტი გერმანიიდან, რომელმაც იქ, გოეთეს ქვეყანაში, სიამაყით იხილა **„მეგრული პოეზიის ანთოლოგის“** ჩინებული გამოცემა, და აქ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანია მისაბამი ქვეყანაა, საკუთარი კილო-კაგების მოვლა-პატრონობის ასპექტით. მან ამის უტყუარ ამამტიკებულ საბუთად მინიატურული ლექსიკონები მოიშველია.

დასასრულს, პროექტის ავტორმა, მწერალმა **გური ოტობაიამ**, დაწვრილებით ილაპარაკა **„ანთოლოგის“** შექმნის ნიუანსებზე. მან აქ წიგნის გამოცემა შეადარა ტარკოვსკის **„ანდრე რუბლიოვს“**, კერძოდ, ზარების სცენას, სადაც, მონდოლ-თათართა ურდოს უღელი გადაგებულია, მაგრამ ეკლესია-მონასტრები გაორნობულია. დაღვწილია ზარები. და, აი, როცა მის ჩამოდნობას მოიწადინებენ, ოსტატი ომში დაღუპული აღმოჩნდება. შემდეგ გამოდის ერთი ყმაწვილი, რომელიც ზარის ჩამოდნობის ცოდნას დაიხვეჭებს და მიენდობა ყველა, ვინაიდან ზარების ოსტატის პირმშოა. არის მოძრაობა, ხარაჩოები, მისვლა-მოსვლა და აი გუგუნებენ ეროვნული ზარები, ყვაწვილი კი ტირის. ხოლო მწუხარების მიხეზს როცა კითხავენ, ამგვარად მიუგებს: მე ზარების ჩამოდნობა არ ვიცოდი, ეს თქვენ მომთქმედეთ ყოველივე, მე უბრალოდ წამოვიწყე საქმე. დაახლოებით ამნაირდ შეფასებს გური ოტობაია **„მეგრული პოეზიის ანთოლოგის“** შექმნის პერიპეტებს – კოლექტიურ ძალისხმევად მონათლავს და დიდ მადლობასაც გამოუცხადებს მის მომზადებაში გაწეული მატერიალური დახმარებისათვის **„ენგურჩისის“** გმირულ კოლექტივს **ლევან მებონიას** თაოსნობით, სამხარეო პოლიციის სრულ შემადგენლობას **გიგა ზესაშვილის** ხელმძღვანელობით, სასტუმრო **„იბერია-პალასის“** მებატრონე ცოლ-ქმარს, **ნანა კვაშიდავას** და **გონა ბერიშვილს**. რომ არა ესენი, ბუნებრივია, წიგნი სტამბამდე ვერაფრით მიაღწევდა, განაცხადებს პროექტის ავტორი.

ყოველივე ამის შემდეგ დიდი გულისყურით წარმოაჩენს იგი პროექტის მენჯერის, ძველი პიდრომწებებლის, ბატონ **იური გუგუნიას** როლს **„ანთოლოგის“** გამოცემის საქმეში. გური ოტობაია მადლობას მოუხდის ზუგდიდის ივერიის დღეთსმშობლის სახელობის საკათედრო ტაძრის აღმამწებელს, ბატონ **სულხან პაპაშვილს** და მის შუედარებელ თანამდგომელს ამ საქმეში, ბიზნესმენ **ომარ ღურჯაიას** ფინანსური მხარდაჭერისათვის **„ანთოლოგის“** მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოსაცემად.

პროექტის ავტორი მადლობას გადაუხდის სასაქ-პეტერბურგიდან საგანგებოდ წვეულ სტუმრებს, ბატონ **იური გუგუნიას** შეილიშვილებს, ქველმოქმედი **ომარ ღურჯაიას** სახიერ ქალ-ვაჟს – **თამარს** და **გიორგის** და **„კოლხური კულტურის აღორძინების საქველმოქმედო ფონდის“** მორიგი პროექტების წარმომხნით დაასრულებს საუბარს – ქართული და მსოფლიო პოეზიის ანთოლოგიების გამოცემით უახლოეს მომავალში, რომელშიც ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდება აქამდე მიხეზთა გამი ივრორირებული მეგრული, ლაზური და სვანური პოეზიის ბაჯადლო ნიმუშები.

ჩვენი გახეთის ფურცლებზე გამოქვეყნებული მეგრული ლექსების თაობაზე არავის დაცდება რამე, რომლებსაც რატომღაც ვერ ვიხილავთ წინამდებარე წიგნში, მაგრამ იმედია, მომდევნო გამოცემაში პროექტის ავტორი ჩინებულ გუნდთან, მეტის ამომწურავობით გართმევენ თავს ამ საშვილიშვილო საქმეს.

**როლანდ ჯალაღანი,**  
საპატიო დოქტორი

# ლავრენტი ბერია – საბჭოთა კავშირის ცილდაჭამებული გმირი



(გაგრძელება წინა ნომრიდან)

არსებობს იმის ეკონომიკური გაანგარიშება, რომელ გეოგრაფიულ და კლიმატურ ზონებში იქმნება შიდა საბითუმო პროდუქცია (ВВП) და, შესაბამისად, როგორია მისი წარმოების ტემპერატურა. XX საუკუნეში ყველა ქვეყანაში გაიზარდა შიდა საბითუმო პროდუქციის წარმოება, როცა ეკონომიკა შედარებით კეთილსასურველ გარემოში აღმოჩნდა, რადგან XX საუკუნის ადამიანი ბევრად მომთხოვნი იყო წარმოების პირობებისადმი, ვიდრე შუა საუკუნეების გლეხი ან XVIII საუკუნის ინგლისელი მუშა. საბჭოთა კავშირი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც წარმოების ტემპერატურა დაეცა, ვინაიდან წარმოებამ გადაინაცვლა ჩრდილოეთში – სადაც ეკონომიკა აპრიორი ნაკლებად ეფექტური იყო. მაგრამ ამგვარი იყო გადარჩენის პირობები: ნორილსკში შეუძლებელი იყო მეტალურგიული პროდუქციის მოპოვება და წარმოება ვახტური მეთოდით, უპირველესად, ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემებისა და კლიმატური თავისებურებების გამო.

გარდა ამისა, სიძნელეები გამოწვეული იყო ეკონომიკის მართვის სფეროში არსებული საშინელი ჩაგარდნებით. მიხეილ ზელმანის ძე ლურიე – იმ გემის ერთ-ერთი მგზავრი იმ სამასთავან, რომელიც ბრონშტეინ-ტროცკისთან ერთად ჩამოიყვანა ამერიკიდან “რუსეთის ფეხზე წამოსაყენებლად”, ბუხარინის არც თუ გამორჩეული სიმამრი, ლენინის ნდობით აღჭურვილი პირი, სახალხო მუშაობის საკავშირო საბჭოს წევრი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის ერთ-ერთი შემქმნელი და წევრი საკუთარ წრეში “ეკონომიკურ გმირად” იყო შერაცხული. თვით ისეთმა ცნობილმა რუსთმთქულე ამერიკელმა ისტორიკოსმა, როგორც იყო რიჩარდ პაიპსი, აღნიშნა, რომ “ინვალიდ ლარინ-ლურიეს კუთვნიის თავისებური რეკორდი, რადგან 30 თვეში ძირფესვიანად დაანგრია უდიდესი სახელმწიფოს ეკონომიკა. სწორედ მან შეიმუშავა და დანერგა “სამხედრო კომუნიზმის” საფუძვლები: ვაჭრობის აკრძალვა და მისი შეცვლა საქონლის გაცვლით. საერთო-სახალხო დამორჩილება და პრაქტიკულად უფასოდ შრომა, მხოლოდ პურის ბარათის მოსაპოვებლად, გლეხების იძულებით “კომუნიზაცია”. სწორედ იგი გახდა “ფულის ინფლაციური განადგურების” მთავარი თეორეტიკოსი – როცა ბოლშევიკურმა მთავრობამ მოუწყო ექსპერიმენტი ხალხს: დაიწყო უთავბოლო ფულადი ემისია. 1917 წელს ინფლაციის დონემ შეადგინა 683,3 პროცენტი, 1918 წელს – 597,5 პროცენტი, 1919 წელს – 1.375,6 პროცენტი. 1922 წელს ფასები გაიზარდა 7.300 პროცენტით.

1919 წლის მაისში სსრკ სახალხო კომისართა საბჭომ შეცვალა ყველა შეზღუდვები ემისიაზე და 1921 წლის იანვრამდე ეკონომიკის აღორძინება ფულის საბეჭდი მანქანის ამოქმედებით გადაწყვიტა. გადახდის საშუალებებად გამოიყენებოდა არა მხოლოდ მეფისდროინდელი ფული, დროებითი მთავრობის პერიოდში გამოშვებული ფულად ნიშნები და საბჭოთა ფული, არამედ სხვადასხვა ფულადი სურათები (ჩეკები, ბონები, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები, სახაზინო ვალდებულებები, საფოსტო ნიშნები). იაკუტიაში ფულის მაგივრად მიიღებოდა ღვინის ეტიკეტებიც კი. “შადერას” ეტიკეტი გახლდათ 1 მანეთის ექვივალენტური, არყის ეტიკეტი სამ მანეთს უტოლდებოდა, კონიაკისა კი 25 მანეთს. მაგრამ, ამ ფულად ნიშნების თვითლიკვიდაცია რატომღაც არ მომხდარა.

დანიქარებული ტემპებით ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის მიმე პირობების გადალახვამ უზრუნველყო ქვეყნის სიცოცხლისუნარიანობა გლობალური კონკურენციის პირობებში (შემდეგ რომ იმში გადაიზარდა) – რაც მობილიზაციური ეკონომიკის შემოდების ერთ-ერთი მიზეზი გახლდათ. შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს ძალზე დაშორებულად დღევანდელი ლიბერალური, “კაცთმოყვარე” დოგმისაგან ის, რომ დიდი სამამულო ომის წინა წლებში სახელმწიფოს ეკონომიკის ერთ-ერთ მრავალპროფილურ რგოლს წარმოადგენდა გულაგი (შრომა-გასწორებითი ბანაკების მთავარი სამმართველო), რომელმაც უზარმაზარი ტერიტორია უზრუნველყო არა მხოლოდ სიცოცხლისუნარიანობით, არამედ იქცა მასშტაბური საომარი მოქმედებების წარმატებით გაძლიერების ფორპოსტად. ჩვენს წიგნში უკვე შევეხეთ ამ თემას. ლავრენტი ბერია უწყება ქვეყნის ყველა დარგთან იმყოფებოდა შეხებაში.

1940 წლის ზაფხულში ბერია ხელს აწერს ფრიალ მნიშვნელოვან დოკუმენტს.

სსრკ შინსახკომის 1940 წლის 19 აგვისტოს № 001019 ბრძანება

სსრკ შინსახკომის ბუღალბის გარდაქმნის შესახებ

სრულიად საიდუმლოდ

სსრკ შინსახკომის ბუღალბის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ბანაკებზე, კოლონიებზე, საწარმოებსა და მშენებლობებზე ხელმძღვანელობის კუთხით, გულაგის სამმართველოებისა და განყოფილებების მუშაობის გასაუმჯობესებლად და გულაგის ფუნქციის მკაცრად განსაზღვრის მიზნით –

ბრძანებ:

დამტკიცდეს სსრკ შინსახკომის ბუღალბის აპარატის ახალი სტრუქტურა მის შემადგენლობაში არსებული სამმართველოებით, განყოფილებებით და ინსპექციებით...

გამოვრკოთ ადმინისტრაციული ერთეულების ჩამონათვალი, რომლებიც მთლიანად შემცირდა და ყურადღება მივაქციოთ მთავარს:

დამტკიცდეს:

გულაგის უფროსის მოადგილედ, შეთავსებით:

სსრკ შინსახკომის რკინიგზის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ნაფტალი არონის ძე ფრენკელი.

შინსახკომის ავიატრანსპორტის მშენებლობის უფროსად – ალექსანდრე პავლეს ძე ლეპილოვი.

...

გ) სამთო-სამრეწველო სამმართველოს უფროსად და გულაგის უფროსის მოადგილედ ამხ. ზახაროვი პეტრე ანდრიას ძე.

დ) სატყეო სამრეწველო სამმართველოს უფროსად და გულაგის უფროსის მოადგილედ სახელმწიფო უშიშროების მაიორი ამხ. სერგეევი ივანე ტროფიმეს ძე.

ე) სამრეწველო და კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს უფროსად და გულაგის უფროსის მოადგილედ სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მაიორი ამხ. მ.ნ. პოპოვი.

თითოეულ ამ სამმართველოში შედიოდა ასობით სამრეწველო საწარმო.

და მთელი ეს გიგანტური სხეული მშშს(ო)ბა!

1940 წლის 4 იანვარს ბერია დღიურში წაწერა:

“სახალხო კომისარიატში სერიოზულად დადგა რკინიგზის მშენებლობის საკითხი. ხელი მოვაწერე ბრძანებას მთავარი სამმართველოს შექმნის თაობაზე, რომლის თანახმადაც ყველა გაერთიანებას თავს ვუყრით ერთ სამმართველოში. აქამდეც ბევრს ვაშენებდით, ახლა კი უფრო ბევრს ვაშენებთ. ვაიყვანო მთელი სარკინიგზო ხაზს და სათანადოდ აღვჭურვათ. თავისთავად აშენდება სადგურები და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ კულტურული, საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას. ვაშენებთ ახალ პიდროელსადგურებს, ვავაგანიერებთ არსებულს და წავაღებთ. აუცილებელია გულაგის პრინციპულად გარდაქმნა, რათა საბოლოოდ აღმოფხვრას მეშანობის ელემენტები. პასუხს თუ ავებ გარკვეული უბნის მუშაობაზე, უნდა ავო კიდევ. ყოველგვარი წყურების გარეშე. თუ კარგად გააკეთებ საქმეს, დაგაჯილდოებთ. თუ არა და, ჩვენ ციხეები უხვად ვავაგანი. ან, უბრალოდ, ქუჩაში აღმოჩნდებით... ფეხებში რომ არ გვებლანდებოდეთ”.

მკაცრად ნათქვამი, მაგრამ ადამიანურად... ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ლავრენტი პავლეს ძე ბერიას ხელმძღვანელობით აგებული ყველა ობიექტი დღესაც წარმატებით მუშაობს! გარდა იმისა, რაც მოპარული და გაყიდულია “სტალინის თვითნებობის წინააღმდეგ” მებრძოლთა მიერ.

1941-1944 წლებში მხოლოდ შინსახკომის სამშენებლო ორგანიზაციების მიერ შესრულებულია 14,2 მილიარდი მანეთის სამშენებლო სამუშაოები, რაც შეადგენს მთლიანად სსრკ სახალხო მუშაობის მიერ შესრულებული სამუშაოს 15 პროცენტს.

## დალსტროი

სარკივო დოკუმენტები მოწმობენ რომ დიდი სამამულო ომის დაწყების წინ დალსტროი იყო სსრკ შინსახკომის ნახევრად-სამხედრო სამმართველო ორგანიზაცია, რომლის ძირითად სამუშაო ძალას წარმოადგენდნენ ჩრდილო-აღმოსავლეთის შრომა-გასწორებით კოლონიებში მოთავსებული, სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით გასამართლებული პატიმრები. სწორედ ისინი, საერთო რაოდენობით 180.000 ადამიანი (მათ შორის დაახლოებით 60.000 თავისუფალი დაქირავებული მოქალაქეები), ასრულებდნენ მნიშვნელოვან სახელმწიფო კონსტრუქციულ დაგეგმვებს კოლმის ტერიტორიაზე, ოსტის სანაპიროებზე და ჩუკოტკაზე.

ეს კი დაახლოებით ხუთჯერ ჭარბობდა დღევანდელი მაგადანის ოლქის ტერიტორიას და შეადგენდა 2 მილიონ 260 ათას კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას, ესე იგი მთელი საბჭოთა კავშირის მეათედ ფართობს.

“ხელი მოვაწერე დალსტროიზე ბრძანებას, – აღნიშნა ბერია თავის დღიურში 1940 წლის თებერვალში, – არსებობს ცეკასა და სახელმწიფოს დადგენილება გარდაქმნა. გასულ წელს ძალა არ მეყო, რომ ოქროს მოპოვების გეგმა შექმნის რულებიან (1939 წელს გეგმა შესრულდა 84 პროცენტით (66,3 ტონა, 1940 წელს კი მოპოვებული იქნა 80 ტონა ოქრო)... საჭიროა გეოლოგიური-სადაზვერვო საქმეების აქტივიზირება. ყველაფერი იმაზე დაამოკიდებული, როგორ ააწყო საქმეს; მომარაგებაც მოსაწესრიგებელია”.

ახლა კი შეუბრალებელი სტატისტიკა. აღნიშნავია, რომ ამ დროს საბჭოთა ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული და ძალიან ბევრი ვინმე ამოსავლეთში (და არა მხოლოდ ამოსავლეთში) ფიქრობდა იმაზე, საერთოდ გადაურჩებოდა თუ არა საბჭოთა კავშირი

ამგვარ ბიჭებს. მაგრამ, მათადა გასაოცრად, საბჭოთა სამშობლო არსებობდა და ქმნიდა!

1941-1944 წლებში გეოლოგიურმა-სადაზვერვო სამუშაოებმა მოიცილა საბჭოთა კავშირის 504 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია, საიდანაც 320 ათასი კვადრატული კილომეტრი საერთოდ შეუსწავლელი იყო. ამ დაზვერვით აღმოჩენილი და მიღებული იქნა სასარგებლო წიაღისეული: 356 ტონა ოქრო, 198.910 ტონა კალა, 28.432 ტონა ვოლფრამი და 156.927 ტონა ქვანახშირის სასარგებლო ნაპარსები, 124 ტონა სპილენძი, 24,9 ტონა ვერცხლი, 66,1 ტონა ტყვია. დაზვერვით ასევე გამოვლინდა ოქროს ქვიშის მარაგი და კიდევ 150 ობიექტი, საიდანაც 80 ჩაღვა მწყობრში.

1944 წელს ყოველი ტონა მადანიდან მიღებული იქნა 10,2 გრამი ოქრო. სულ მადნიდან მიღებული იქნა 481 კილოგრამი ოქრო. ფაქტობრივად, ერთი გრამი ქიმიური სუფთა ოქროს ღირებულებამ შეადგინა 10 მანეთი და 99,2 კაპიკი.

გარდა ამისა, აღმოჩენილი იქნა 12 კალის, 3 ვოლფრამის და 2 კობალტის შემცველი ქანების საბადო. სულ 1941-1944 წლების განმავლობაში მწყობრში ჩაღვა 17 ახალი საბადო, რომლებშიც მიღებული იქნა 90 ტონა ოქრო. მიღებულმა ქიმიურად სუფთა ოქროს საერთო რაოდენობამ 1941 წელს შეადგინა 75,5 ტონა, 1942 წელს – 74,4 ტონა, 1943 წელს – 70,1 ტონა, 1944 წელს 70,5 ტონა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა კალის მოპოვებას, რომელიც უზრუნველყოფდა სამხედრო მრეწველობას. 1941 წელს მოპოვებული იქნა 3.326 ტონა კალის კონცენტრატი, 1942 წელს – 3.580 ტონა, 1943 წელს – 3.920 ტონა, 1944 წელს კი 3.703 ტონა კალის კონცენტრატი. გაიზარდა ქვანახშირის, ვოლფრამის ზეჟანგის მოპოვება, რომელმაც 1944 წელს შეადგინა 90,7 ტონა. პარალელურად მოიპოვებოდა ვერცხლი.

მთელი ეს სიმდიდრე იტვირთებოდა ვაგონებში და მიემართებოდა დასავლეთისაკენ, სადაც მადანისაგან მიიღებოდა მეტალი და ტანკები, ოქრო კი ხმარდებოდა ლენგლიხის ხელშეკრულებას. მეკავშირეები მხოლოდ ოქროს ფასად გვაწვდიდნენ “დახმარებას”. ეს ფაქტია და მას ვერსად გავშქქვით.

1940 წლის 4 ივნისს სსრკ შინსახკომის რკინიგზის მშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსმა ნ.ა. ფრენკელმა სახალხო კომისარს წარუდგინა მოხსენებითი ბარათი ახალი რკინიგზის ხაზების გაყვანის შესახებ. იმავე დღეს ბერია წაწერა დღიურში:


“ველაპარაკე კობას ფრენკელის მოხსენებითი ბარათის თაობაზე, რომელიც ნაფტალმა შეადგინა მოკლედ, საქმიანად და დამაჯერებლად. სიას წარუდგენ კობას კარგია, როცა დასაჯილდოებელი ხალხის სიებზე მუშაობ და არა დასახვერტი ხალხისა.

ავაშენებ ბევრი. 7 წლის განმავლობაში ვაიყვანებ 5.000 კილომეტრი რკინიგზა. ეს არ გახლავთ სახუმარო საქმე. ვიხივ კობას, რომ ხალხი უხვად დაჯილდოვდეს”.

არქიტექტორი ლავრენტი პავლეს ძე ბერია აშენებდა დამანგრეველი ომის დაწყებამდე და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ საბჭოთა კავშირი გაუძლებდა მტრის შემოტევას.

ამასთან, შიდა საბითუმო პროდუქციის შექმნის კვალდაკვალ სსრკ შინსახკომი ყურადღებით ადევნებდა თვალს, რათა სხვა “მშენებლებს” სახელმწიფო ჯიბე საკუთარში არ არეოდათ.

თარგმანი როლანდ ჯალაღანიასი, (გაგრძელება იქნება)



# ღირს, გაზის გაყიდვით მიღებული ფულის ფასად მსოფლიო მშვიდობის სასწორზე დადგა?

## ჯიტლანკაპრაში

### მხარეებში

რა არის ლიბერალიზმი? ის, თუ როგორ მოუტანოს სისხარული მთელ მსოფლიოს, არა? აიღებ ძველ, ნაცად პრინციპს – „ადამიანი, ადამიანისთვის მგელია“, მოაყრი ბლომად შაქარს, ყველგან რომ სიტკბო დაჰკრავდეს და მზადაა, არა?

ვიტენამი კი ტკბილზე ტკბილია. ჩვენ გვინდა, რომ ეს ნაპირი ყველასთვის ღია და ხელმისაწვდომი იყოს? როგორ გაიფურჩქნება კაპიტალი, თუ რამდენიმე ასეთ ხერხეს ღიად არ დაეტოვებ?

ყველაფერი ჩვენ ვართ და თუ იესო მიწაზე დაეშვა, მხოლოდ აქ, ჩვენთან. ყველა „დანარჩენი ქვეყანა განავალია და მტერი არაფერი“ – ჯონ აპდაიკი („ბაჭიას დაბრუნება“), ცნობილი ამერიკელი მწერლის წინააღმდეგ ამონარიდის თქვენთვის გაცნობა ერთ მიზანს ისახავს – შევაფასოთ აშშ-ში ობიექტურად, მიკრობების გარეშე და არა ზედამხედველად, ნიუ-იორკის განახლებული ტაიმს-სკვერით მოჯადოებული ადამიანის თვალთ. შევაფასოთ ისე, როგორც აპდაიკი 60-70-იანი წლების ამერიკას აფასებს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დღეს, ინტერნეტის საუკუნეა, მაგრამ ის პოლიტიკური ხაზი, რომელიც აშშ-ს მრავალი წლის წინათ ჩამოაყალიბა, შეუცვლელია. როდესაც პრეზიდენტი ტრამპი, რეგულაციონერად, ინოვაციურად მოვლენილი, ამერიკელი ამომრჩეველის წინაშე იტყვის – „ამერიკა, უპირველეს ყოვლისა“ და ლოზუნგის შესასრულებლად შესაბამის ნაბიჯს გადადგამს, უმაღლესი მხედველობა, რომ ძველ პოლიტიკასთან შედარებით, არაფერი შეცვლიდა.

საერთაშორისო ურთიერთობაში აშშ-ში მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან გააქტიურდა, განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის და მისი დამთავრების შემდეგ. ამერიკა გადაიქცა მსოფლიოს უდიდეს პოტენციალად, რომელსაც მეტოქეობას ჯეროვნად უწევდა საბჭოთა კავშირი.

დაიშალა საბჭოთა კავშირი, რომლის დაშლაში აშშ-ს აქტიური მონაწილეობა მიიღო და მსოფლიოს ბატონ-პატრონად საკუთარი თავი გამოაცხადა. ამერიკის პოლიტიკის ძალისხმევით, პროპაგანდის მანქანის აქტიური გამოყენებით, ფინანსური და ეკონომიკური ზეგავლენით, ამერიკა მსოფლიოს ჰეგემონი გახდა.

აშშ-ს ხელისუფლება დღენადაც ჩახახის აშშ-ს მოსახლეობას სხვა ქვეყნების არადემოკრატიულობის, კორუმპირებულობის, სხვა მანიკერების შესახებ და თავი ისე მოაქცა, თითქოს თვით უცოდველი კრისი იყოს. ამერიკას ოსტატურად გამოსდის. მთელს მსოფლიოს ატყუებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ლოზუნგით. რეალურად, თუ რას აკეთებს, ცნობილია – ერთმანეთს წაიკიდებელი ახლო აღმოსავლეთით; სირიის, ერაყის ომებით; იემენის მძიმე დაპირისპირებით; ტერორიზმის მკაცრი, თავხედური გამოსხივებით; აფეთქებული უკრაინით და სხვა მრავალით.

ამერიკა ის ქვეყანაა, რომელიც არაფერს დაზოგავს მსოფლიო პირველობის შესანარჩუნებლად და ამ საქმეში მეტოქეებისთვის მძიმე დარტყმის მისაყენებლად. მეტოქეები კი რუსეთ-ჩინეთია – შედარებით დიდი და მძლავრი ქვეყნებიდან და არის ირანიც – საშუალო სახელმწიფოებიდან. ეს ის ქვეყნებია, რომლებსაც საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკა აქვთ. ისინი მტკიცედ მოქცევიან სუვერენიტეტის გზას, რაც გამაღიზიანებლად მოქმედებს აშშ-ზე.

ჯერ-ჯერობით ამერიკა პირველია – ეკონომიკის, სამხედრო საქმის განვითარების გზაზე, მაგრამ ჯერ-ჯერობით. მას მალე დაეკარგება ჩინეთი – ეკონომიკის დარგში და რუსეთი – შეიარაღებაში. სამივეს ბირთვული იარაღი აქვს, თანაც უხვად, განსაკუთრებით ამერიკა-რუსეთს. სამივეს სურვილი აქვს პირველობის და რასაც ეს ერთდროულად შეუძლებელია, სამიდან ორი მრავალპოლუსიანობის მომხრეა – რუსეთი და ჩინეთი.

ერთპოლუსიანი მსოფლიოს თავში მყოფი ამერიკა მწვერვალადან დაშვებას არ აპირებს და ძალას არ იშურებს პოზიციების განსამტკიცებლად. მას ნაკლებად ანადგულებს პოზიციების განმტკიცებისთვის პროცესი თუ აკრძალული მეთოდით მიიღწევა. ან ვინ იტყვის, რომ მეთოდი აკრძალულია თუ არა რუსეთ-ჩინეთი ან

თოთო-ოროლა ქვეყანა? მათი ნათქვამი კი იძირება დასავლური პროპაგანდის მორევეში, რომელიც ამერიკამ შექმნა. მისი პროპაგანდისტული მანქანა წარმატებით მუშაობს და რაც არ უნდა იმასონ ამ ორმა, ძნელად დაარწმუნებენ მსოფლიოს, პირველი ქვეყნის ბოროტებაში.

თვით პირველმა უნდა დაუშვას საბუღალსო უცდომია, რომ სხვამაც აღმაცრად შეხედოს მას. დაუშვა კიდევაც. სულ ახლახანს, როდესაც ანტირუსული, ანტიირანული და ანტიირდილო კორეული სანქციები შემოიღო, განსაკუთრებით ანტირუსული – კონგრესის ორივე პალატამ, ხმათა უმრავლესობით, კენჭი უყარა კანონპროექტს და ხელმოსაწერად პრეზიდენტ ტრამპს წარუდგინა, რომელიც ამ პროცედურას კონგრესს არ დაამდგინა.

ხელის არმოწერის შემთხვევაში, კონგრესი დაძლევის ვეტოს და ტრამპის პრესტიჟს საბოლოო წერტილი დაესხება. ტრამპი იძულებულია დაეთანხმოს კონგრესს და ამით კიდევ ერთხელ დაამტკიცოს თავისი, როგორც პრეზიდენტის აღსუსტება. მორჩილი პრეზიდენტი, რომელთანაც საქმის დაჭერა საეჭვო ხდება, ვისთან უნდა იქონიოს სხვა ქვეყანამ ურთიერთობა პრეზიდენტთან თუ კონგრესთან?

აი, კითხვა, რომელიც აწუხებს დანარჩენ მსოფლიოს. არის პრეზიდენტი და თანაც არ არის, ვინაიდან მისი გადაწყვეტილება კონგრესმა შეიძლება არ გაიზიაროს. ასეთ ვითარებაში რაღა აზრი აქვს მასთან მოლაპარაკებაში დროის დაკარგვას?

თავისი საპრეზიდენტო მოვალეობის მეშვიდე თვეზე ტრამპი იმპოტენტი პრეზიდენტი გახდა. არადა, რა რისხით და შემართებით მოვიდა ხელისუფლებაში? რა ვრცელი, რეგულაციური გარდაქმნების განხორციელებას აპირებდა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში?

კონგრესმა ხელ-ფეხი შეუკრა, რამაც მსოფლიოს დაანახა იმ მძიმე და უმწვეველი დაპირისპირების შესახებ, რასაც ადგილი აქვს ვაშინგტონში. ჰეგემონიის მარცვლიდან აღმოცენებული ამერიკულმა პოლიტიკამ არ იფუხა სხვაგვარად მოაზროვნე პრეზიდენტი, მითუმეტეს რუსეთისადმი სიმპათიით განმსჭვალული და სამოქმედო ჩარჩოები დაუწესა – ერთობ შეურაცხყოფელი, დამორგუნველი.

თვალის შეგავლოთ ტრამპის წინასაარჩევნო განცხადებებს, რომელთა შორის უდავოდ გამოირჩეოდა მსოფლიოს ჯანდარმობაზე უარის თქმა; სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობა; საკუთარი პრობლემების გადაჭრა; სხვებთან, მათ შორის რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგება და სხვა.

ერთი სიტყვით, რასაც ტრამპი ამბობდა, სულაც არ იყო ჰეგემონიზმიზე ნაბლაუჭება. ასეთი, ამერიკის პოლიტიკის, მედიისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მათთვის ამერიკა უნდა იყოს ყველგან და ყოველთვის – დემოკრატიის ლოზუნგით საკუთარი მიხედვის განსამტკიცებლად.

კონგრესის მიერ მიღებულ კანონში შავით თეთრზე წერია, რომ ამერიკამ უნდა დაიცვას ვეროპა რუსული გაზის შეტვივრება. და რომ ამას არ ჰქონდეს ავანტი, რუსეთს უნდა აეკრძალოს გაზისადენის გაყვანა, ხოლო ვეროპის ქვეყნებს ამერიკული დაჭირებული გაზი უნდა მიეწოდოს, ცხადია მაღალ ფასებში. როდესაც მსოფლიოს პირველი „დემოკრატიული“ ქვეყანა საკუთარი მიხედვის მისაღწევად აკრძალულ ხერხებს იყენებს და საკუთარ მოკავშირეებსაც კი მონურ მდგომარეობაში აყენებს, დემოკრატიის ნაცვლად სხვა სახელი დაამშვენებდა, მაგრამ ვინ არის ამის მთქმელი?

დღემდე არავინ. დღეის შემდეგ, თუკი იოტისოდენა პროტესტის გრძნობა შემორჩა, დიდი დემოკრატიის თანამგზავრებს, მათ უნდა თქვან „დემოკრატიის“ ქმედებით გამოწვეული საპროტესტო სიტყვა და არა მარტო სიტყვა, საქმეც უნდა მიაყოლონ. მაგრამ შეძლებენ ამას – ათეულობით წლების განმავლობაში დამონებულიები?

აშშ-ს კონგრესმა ანუ მრავალმა პოლიტიკოსმა ერთად აღებულმა და არა ერთმა პირმა, პრეზიდენტად წოდებულმა, მსოფლიოს, მათ შორის საკუთარ მოკავშირეებსაც აჩვენა დემოკრატიის ქურქში გახვეული მტაცებლის სახე.

რომელსაც ფეხებზე ჰკიდია ყველა, გარდა საკუთარი ინტერესებისა, საბოლოო ჯამში ფულია. ერთი კაცი, თუნდაც პრეზიდენტი, შეიძლება შეცდეს, მაგრამ როდესაც კონგრესში მოკალათებული მრავალი „პოლიტიკოსი“ ცდება, მიმედ შეიძლება დასრულდეს „პირველი“ ქვეყნისთვის.

სამართლიან პაექრობას მიუხევედ პეგემონი ჰკარგავს პოზიციებს, რაც ნათლად გამოჩნდა კონგრესის გადაწყვეტილებაში. ასე იქცევა ფუნდამენტორეული ქვეყანა, აგონიაში მყოფი. აშშ-ში მიმდინარე შიდა დაპირისპირება ყოველგვარ მორალურ საზღვრებს სცდება, რამაც შეიძლება მძიმედ იმოქმედოს მსოფლიო წესრიგზე, მაგრამ ერთმანეთთან კინკლავეში გართული პრეზიდენტისა და კონგრესისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს.

საიმპიმიენტოდ გამაზღებულ პრეზიდენტს კონგრესი და მედია მწვეველ კორტინის, რაც გაუგებრობას იწვევს მოკავშირეებში. არ აძლევს საშუალებას მათ კონსტრუქციული დიალოგი აწარმოონ პრეზიდენტთან – კონსტიტუციით უმაღლეს ამანსრულებელთან – ამჯერად წყალშეყენებულთან, დიდი კაპიტალის მიერ დაჭირებული ამერიკელი კონგრესმენების მიერ.

კოლექტიური ორგანო, კოლექტიური ორგანო და ის პერსონალურად არ აგებს პასუხს კანონისა და ხალხის წინაშე. თუ ვინ აგებს – პრეზიდენტი, მაგრამ გაკოჭილი, ძალაგამოცლილი. კონგრესის მიერ მიღებული კანონპროექტი დიქტატორული ხასიათისაა. მისი მიხედვით, ვეროპამ არ უნდა მიიღოს რუსული გაზი და თუ მიიღებს, ის დაისჯება. ვეროპამ ამერიკული გაზი უნდა მიიღოს.

კონგრესის კანონპროექტი ვეროპიდან აძევებს რუსულ გაზს, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მოყოლებული ამარაგებდა ვეროპას. თუ ეს მზაკერული გეგმა განხორციელდა, რუსეთი დაკარგავს დიდ შემოსავალს, რაც გამოიწვევს რუსეთის ეკონომიკისა და სოციალური ყოფის გაუარესებას, ანტისახელმწიფოებრივ გამოსვლებს, პუტინის ხელისუფლების დამხობას.

მიზანი მიღწეულია. აშშ-ში დაწინაურდა ქვეყნის ლიდერს, რომელმაც ხმა ამოიღო ამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგ. ამერიკას უყვარს მორჩილი ქვეყნები, ისეთები, როგორებიც ვეროკავშირელები არიან, ყველაფერში რომ თავს უკრავენ ვაშინგტონს.

დაუშვათ, სხვაგვარად მოქცეულიყო რუსეთი, მაშინ რა იქნებოდა?

ის, რაც პრეზიდენტ ელცინის დროს; ის რაც უკრაინაშია, პრეზიდენტ პოროშენკოს დროს – გაძვალტყავებული ქვეყანა, ორ გრივად გაყიდული ამერიკაზე როდესაც ქვეყანა უკანასკნელ წლებში მოახერხებს ეროვნული შემოსავლის 180 მილიარდი დოლარიდან 80 მილიარდამდე დაყვანას – დიდი ახსნა-განმარტება არ სჭირდება შესაბამისი დასკვნების გამოტანას.

დანაწინააღმდეგე რუსეთი, უკრაინის მსგავსი – აი, სურვილი „დემოკრატი“ ამერიკისა. დასუსტებული კი – კაპიტალში გააყიდვინებ როგორც წიადისეულ სიმდიდრეებს, ისე სამრეწველო ობიექტებს, მიწას. ასეთ ქმედებას აქვს ადგილი უკრაინაში. დათანხმდება სავალალო პერსპექტივას რუსეთი? ერთხელ დათანხმდა – ელცინის დროს და საშინლად მოტყუვდა. ვგონებ, ტრაგიკულ ნაბიჯს აღარ გაიმეორებს და თუ არა, რა რჩება? ბრძოლა სუვერენიტეტისთვის, თავისუფლებისთვის, საკუთარი პოზიციების განმტკიცებისთვის, რაც უდავოდ გამოიწვევს კონფორტაციას აშშ-თან.

ისინი, ვინც კონგრესისთვის მისაღებ კანონპროექტს თხზავდა, მსოფლიო მშვიდობის სიმბოლოებს ეთამაშებოდა, ანგარიშს არ უწევდა სავარაუდო დაპირისპირებას. კუთხეში მიყენებული ბირთვული იარაღიანი რუსეთი, თანაც გაღიზიანებული, ისეთი ძალაა, რომელიც ამერიკასაც გადაუდებს და სხვასაც.

ღირს, გაზის გაყიდვით მიღებული ფულის ფასად მსოფლიო მშვიდობის სასწორზე დადგა?

ჰამლეტ ჰიპოთილი, პოლიტოლოგი

ველარ ჩამოსვეს დღემდე ვირიდან, ვერც შეძახილით, ვერც სიჩუმითა, ჭიტილანკარავი უკრაინიდან, პანწურითა და პანწურითა. და ბაჭიბუქობს ამერიკიდან, რომ პოროშენკოს მოუღებს ბოლოს, არ თქვათ, რომ მისგან ეს გაგიკვირდეთ, თვალბეში კვამლი სურს მოგვაბოლოს. „მე ისევ მოვალ!“ – სჯერა ყვარყვარეს, არ იძირება...  
მბედობს, ყვარყვარობს! სხვაგვარ ცხოვრებას ვერც შეაყვარებ, კედელზე ცერცვი რომ შეაყარო.

## ალარ დაბრუნდით!

- ცნობა მოვიდა!
- რა ცნობა?
- გამოდგა მიხოს „ანცობა“ და აღმა ასვლა ხანმოკლე!
- აუად აყვფდნენ „ნაცებო“:
- „უკრაინაში „ნაცმენი“ ფიურერი გეყავს ნაცემი, ჩვენს ბელადს წიხლი ამოჰკრეს... თუმცაღა რაკი არ მოჰკლეს, თუ არ ვუშველეთ მარჩენალს, გვანანებს სახლში დარჩენას!“
- P.S. ცხრა წლის ნაგროვი ქონი გაქვთ და მაინც ვერ თმობთ აბრუნდებს? წადით?! გზაც იქით გქონიათ!
- ოღონდ არასდროს დაბრუნდეთ!

## საბანბებო გზაზნილი

### კუდამოძებულ ტელერესპონდენტთან დაკავშირებით

მიშა მაჭავარიანო, რა თქვი? რანი არიანო?! ჭორვილა რომ ჭორის ჭურგმა ასე ჩაატორვილულა, ამ წყენას თუ გადახუხავ, გულს თუ არ გტკენს და არ წუნარ, ჭორვილელი მართლაც თუ ხარ, ნეტავი რას ეტყვი ჯურხას?  
ალექსანდრე შინბელია

## ბიაშქვი დო გოფელეკე

ჯიმაღეფი, ჯგირი რინა ოკოლხეშა მალას მურსე, მისით ვაკო თეში რჩქინა გამაღეთ ითამ ლურსე... გეგიფილ მალას გოპირანსე, ზეფორ გეპუნთ ეკეკე... გითამჩამალ ქეშერხვადენ გიაშქვი დო გოფელეკე!

## ქუაშ თუალა

“მა დობღურდა, ქუას უთუდას...” შურ მერყებდას, ბღურუდე, გამხვარდას მუთუ და ეკომიოლე, ჩქიმ უკულ უკულ ქუას უთუდას...

## ფარა იში

ვაუჯგუნო რჯოხოდასე ყახას ჯიმ დო ქობალიში, ფარა იში, სახელ ვეში – კონიშ ხეგოფაილიში...  
რამაზ კუპრა

გაპრისტვის უსნობი და სინგერესო ისტორიები აკაკი წერეთლის პაიის სხოვანობა



ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი "ისტორიანი" წარმოგიდგენთ სინგერესო მასალებს აკაკი წერეთლის ვაჟის - ალექსი წერეთლის ცხოვრებაზე. გთავაზობთ ამონარიდებს სტატიიდან: პრინცი ალექსი - აკაკი წერეთლისა და ნატალია პიოტროვნა ბაზილევსკაიას ერთადერთი ვაჟი იყო, რომელსაც დიდი ხანიად ეძახდნენ. ალექსი წერეთელი 1864 წელს დაიბადა სოფელ სხვიტოში. აკაკის მეუღლე ოქროს მადნის რუსი მაგნატის, პიოტრ ბაზილევსკის ქალიშვილი გახლდათ და თავის დროზე დიდ სიმდიდრეს ფლობდა, მაგრამ მამის სიკვდილის შემდეგ მათი ქონება ბიძამ მიითვისა. ნატალია პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში იყო აღზრდილი. ცხადია, გაუჭირდა სოფლად ცხოვრება, მიატოვა სხვიტოში და შეიქმნა ერთად პეტერბურგის მიაშურა. ალექსი რუსეთში აღიზარდა. პეტერბურგში მიიღო საშუალო და უმაღლესი საინჟინერო განათლება, მაგრამ ისე დიდი იყო თეატრალური ხელოვნებით მისი დაინტერესება, რომ მთელი თავისი ცხოვრება ოპერას დაუკავშირა...

მელიტონ ბალანჩიშვილის ოჯახში ეცნობოდნენ და მაშინვე დიდი სიყვარულით უწყებდნენ საუბარს მამაზე, მის ღვაწლსა და პოეზიაზე. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ აკაკი წერეთლის შვილმა ქართული თითქმის არ იცოდა და, ცხადია, არც ჰქონდა ბედნიერება, მამის პოეზიის ხიბლი და ელვარება წაეკითხა და გერძნო. თუმცა, როგორც საქართველოში გამოგზავნილი წერილებიდან ჩანს, ქართული კულტურითა და მამის შემოქმედებითაც დაინტერესებული იყო. "გმადლობთ სასიამოვნო ცნობისათვის ძვირფას და დაუვიწყარ მამაჩემზე და გახუთის ამონაბრძოლებზე" - წერდა იგი ელენე მანაბელს. შემდეგ კი სთხოვდა, - "ბედნიერი ვიქნები, თუ შეძლება მამაჩემის თხზულებები გამიხარდებოდეს, თუ იმასაც გამომიგზავნიან". ალექსი წერეთელი შესანიშნავად ერკვეოდა რუსულ და კერძოდ ხელოვნებაში, ითვლებოდა თეატრისა და მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთ უნიჭიერეს შემფასებლად, თვითონვე დგამდა ოპერებს და ანტრეპრენორულ საქმიანობასაც მისდევდა. მისი გატაცება მუსიკალური თეატრალური ანტრეპრენორული მოთხოვნა სხვადასხვა ქვეყნებში გამომდებულ მოგზაურობას, რაც დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. დედა-შვილი ხან პეტერბურგში ცხოვრობდა, ხან ხარკოვში, თბილისში, კიევისა და რუსეთის იმპერიის მაშინდელ სხვა ქალაქებში, ხან კი საზღვარგარეთ - პარიზში, ბერლინში, მილანში. ალექსი წერეთლის ცხოვრება კარგად არის შესწავლილი და ცნობები მის შესახებ შეტანილია კიდევ ეროვნული ბიბლიოთეკის უცხოეთში მოღვაწე ქართველების ბიოგრაფიულ ცნობარში, თუმცა

არანაკლებ საინტერესოა ხელოვნების სახელში დაცული საარქივო მასალები. ალექსი წერეთელი 1896-1897 წლებში ხარკოვში ჩამოაყალიბა საოპერო დასი, რომელმაც გასტროლებით მოიარა რუსეთის იმპერიის დიდი ქალაქები, ოდესა, მოსკოვი და წარმატების მწვერვალს პეტერბურგში, 1904-1906 წლების სეზონზე მიაღწია. მისი სპექტაკლი მონაწილეობდნენ რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო მომღერლები. ალექსი წერეთელს განსაკუთრებით ხელეწიფებოდა ახალი ტალანტების აღმოჩენა. მან გამოიყვანა დიდ გზაზე რამდენიმე მომავალში ცნობილი საოპერო მომღერალი: ნატალია ერმოლენკო-იუჟინა, მარია კუზნეცოვა, დირიჟორი ემილ კუპერი და მრავალი სხვა. ...1902 წელს, როცა თბილისის საოპერო თეატრი რემონტის გამო დახურეს, ანტრეპრენორმა ალექსი წერეთელმა ხარკოვის რუსული საოპერო დასი თბილისში ჩამოიყვანა და ბილეთებსაც ხელმისაწვდომი ფასი დაადო. ალექსიმ ორი სრული სეზონი გაატარა თბილისში და საზოგადოების ყურადღება არ მოჰკლებია. აკაკის შვილის მოღვაწეობის მიკვლევარ ნონა თველიორაძის აზრით, - "არ არის გამორიცხებული, რომ პიროვნება, რომელმაც მიხეილ ნანობაშვილი, შემდგომში "მიშელ დარიალის" სახელით ცნობილი, პარიზის "გრანდ ოპერის" სოლისტი, პარიზში გაგზავნა სასწავლებლად და თვიურად ოცი თუმანი სტიპენდია დაუნიშნა - იყო ალექსი წერეთელი". ცნობილია, რომ თუკი რომელიმე ახალგაზრდას სიმღერის ნიჭი აღმოაჩნდებოდა, ალექსი წერეთელი მისთვის ენერჯიასა და სახსრებს არ იშურებდა. დიდი ამაგი დასდო ალექსი წერეთელმა

ვანო სარაჯიშვილს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორს ოლღა ბახუტაშვილ-შულგინას, ივანე ფალიაშვილს, რომელიც მიიწვია ჯერ პეტერბურგის საოპერო დასში გუნდის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ დირიჟორად ვარშავაში, რიგაში, ოდესაში, ყაზანში, თბილისსა და სხვა ქალაქებში... ცხადია, ალექსი წერეთელმა ყველაზე დიდი ამაგი რუსულ საოპერო მუსიკას დასდო. 1902 წლიდან მის საოპერო ორკესტრსა და დასს სახელწოდებით - "ახალი ოპერა" პეტერბურგის სახელმწიფო სახლის სცენა ეკავა. რუსული მუსიკის ისტორიაში ხაზგასმულია, რომ რიმსკი-კორსაკოვის ოპერები "შეფის საცოლენ" და "პან ვოკოლა" რუსეთში პირველმა ალექსი წერეთელმა აღმოაჩინა. 1908-1910 წლებში ალექსიმ ამერიკელებს გააცნო ფიოდორ შალიაპინი, რომელთანაც შემოქმედებითი კავშირი არც შემდგომ გაუწყვტია. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ალექსი წერეთელი პარიზში გადასახლდა და დააფუძნა "რუსული ოპერა"... აკაკი მთელი თავისი სიცოცხლე შესტრფოდა რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში მოღვაწე შვილის ნიჭს, განათლებას, მოხანსწრაფულობასა და ენერჯიას. თანამედროვეთა მოგონებებით, ალექსი ერთობ სიმპათიური მამაკაცი იყო, ზრდილი, კაცთმოყვარე, კარგი გარეგნობისა და კეთილი გულის პატრონი. მამა ძალიან უყვარდა და მართალია, ქართული ნაკლებად იცოდა, მამის თხზულებათა შინაარსი ზედმოწევნით ჰქონდა შეთვისებული. ერთხელ ალექსის უცვლია სხვების დახმარებით მამისთვის წერილის ქართულ ენაზე მიწერა. ამით აღფრთოვანებულმა აკაკიმ უპასუხა: "შენმა ქართულმა წერილმა ძალიან

გამახარა. არასოდეს საეჭვოდ არ მიმანდა შენი ნიჭიერება და ენერჯია. ჩემს ახლოს შეგეძლო ასევე მეტი სარგებლობა მოგეტანა და ჩვენც არ გავმწარდებოდით..." ნატალია ბაზილევსკაია საქართველოში იშვიათად ჩამოდიოდა, მაგრამ ურთიერთობა მიმოწერის სახით, მუდმივად ჰქონდათ. აკაკი 1905 წლის ზაფხულში და 1909 წელს რამდენიმე თვის განმავლობაში სამკურნალოდ იყო ჩასული საფრანგეთში და ლევან ასათიანის ცნობით, ცოლ-შვილთან ცხოვრობდა. ალექსი წერეთელს მამის საოპერო დასი ჰყავდა პარიზში საგასტროლოდ ჩაყვანილი. ალექსი წერეთელი არ დაქორწინებულა. იგი 1942 წელს გარდაიცვალა ფაშისტების მიერ ოკუპირებულ პარიზში. მიუხედავად ამისა, ალექსის დაკრძალვას დიდძალი ხალხი დაესწრო. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავდა, თავისი დასის მთელი რეკვიზიტები, პირადი ქონება და ბიბლიოთეკა წერეთელმა "მომავალი თავისუფალი საქართველოს თეატრს" უანდერძა. საოპერო დეკორაციები, ტანისამოსი და ბიბლიოთეკა მილიონნახევრად იყო შეფასებული. თუმცა, მისი გარდაცვალების შემდეგ, ანდრეი "არაქმედითად" ცნეს და მთელი ქონება აუქციონზე გაიყიდა. ალექსი წერეთელი დაკრძალულია პარიზის მასლოვად, სენტ-უანის სასაფლაოზე, დედის გვერდით. გურამ შარაძის ცნობით, სასაფლაოს საფასური ალექსის 30 წლის ვაითი, 1971 წლამდე ჰქონდა გადახდილი. 1981 წელს საფლავი გაუქმებიათ და მის ადგილზე სხვა დაუკრძალა...

გიორგი კალანდია, ხელოვნების სახელის დირექტორი

უკანასკნელი ინტერვიუ კასთან, როგორც 48 ენა იყო

(არაჟინ იხის, რამდენი ასეთი ტალანტი დაიკარგა უზომ-უკვლოდ საზოგადოებისა და ხელისუფლების გულ-პრილოვის გამო!)

სტატიას მაშინ გახუთა. გთავაზობთ სტატიას არქივიდან: "მის სანახავად ფოთში თავად ჩავედი. ტული გვასალა (ასე ეძახიან ფოთელები) ძალზე დაუძღვრებელი ჩანდა. საოცარია, მაგრამ ეს უნიკალური ადამიანი უკიდურეს გაჭირვებაში, სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. არადა, მისი ნიჭის შესახებ თავის დროზე მსოფლიოს ყველა ცნობილი გამოცემა წერდა. 48 ენა იცის, იცის 1500-მდე ჩინური იეროგლიფი, ლაპარაკობს ინდიელთა ტომების დიალექტებზეც. ანატოლი გვასალა: "მამაჩემი, ვლადიმერ გვასალა, ძალზე განათლებული კაცი იყო. შვიდი ენა იცოდა. შვიდი წლის ვიყავი, ესპანურ ენაზე გამოცემული სერვანტესის "დონ-კიხოტი" დავეინტერესდი. შინ მდიდრულად ილუსტრირებული გამოცემა გექონდა. ძალიან მინდოდა გამეგო ამ ილუსტრაციების უკან რა იფარებოდა. 10 წლიდან მამის დახმარებით ლათინურის, გერმანული, ფრანგული და ინგლისურის სწავლება დავიწყე. - ამდენი ენა ერთმანეთში არ გერეოდო? - როგორც ჩანს, ეს ნიჭი გენეტიკურია. ენების შესწავლის კანონზომიერებაც არსებობს. ის, ვისაც რამდენიმე ენის შესწავლა უნდა, უპირველესად უნდა შეისწავლოს ძირითადი ენა, მერე მასთან ახლოს მდგომი მონათესავე ენები. რაც უფრო მეტი ენა იცი, მით ადვილად ითვისებ ახალ ენას. რამდენიმე ენის შესწავლის შემდეგ მიგხვდია, რომ დაავადებული ვიყავი ენების სიყვარულით. თითქმის ყველა მომდევნო ენა სხვენზე მაქვს ნასწავლი. დაახლოებით ერთ წელიწადში თითო ენას ვსწავლობდი. სულ 48 ენა ვიცი, მაგრამ აქტიურად 24 ენაზე ვლაპარაკობ. თუმცა, ამ ბოლო დროს ისე ვდაკაბუნდი, ქართულად ლაპარაკიც მიჭირს. არც საბჭოთა კავშირის დროს და არც მოგვიანებით მქონდა დაღვნილი ცხოვრება. მუდმივად მიჭირდა, მუდმივად დაბალი ხელფასი მქონდა, რის გამოც იძულებული ვიყავი მოსწავლეები მოემზადებინა უცხო ენებში. ახლა

მოსწავლეებსაც ვეღარ ვამზადებ და ვცხოვრობ ასე, სიღარიბის ზღვარს მიღმა. ბოლო დროს სუნთქვაც მიჭირს, ხელებიც მიკანკალებს... - ასეთი უნიკალური ნიჭის პატრონს რატომ უნდა გიჭირდეთ? - ტული გვასალა მაშინ ასხენდებოდა, როცა უცხოელების წინაშე თავის მოწონება სჭირდებოდა. მასხოვს, ფოთში უცხოელების 28-კაციანი დელეგაცია ჩამოიყვანეს და "ჩემს ოჯახში" მოიყვანეს. "ჩემი ოჯახი" საგანგებოდ შეარჩიეს და პოლიციის უფროსის თუ პროკურორის სახლში გაშალეს სუფრა. ბუნებრივია, მე ვითომ მასპინძელი და ამ ოჯახის პატრონი ვიყავი. როგორ ცხოვრობო, ბატონო ტული? - მეკითხებოდნენ ენათმეცნიერი სტუმრები. გადასარეგად, ავერ ჩემი სასახლე-მეთქი, ამ დროს ოროთახიანი ბინაში ვცხოვრობდი. - რამდენი გაქვთ ხელფასი? - 2000 მანეთი, სინამდვილეში 169 მანეთი მქონდა. - მანქანა? - ორი მანქანა მიღვას გარაჟში, მაგრამ ფეხით სიარული მიყვარს, ჯანმრთელობას ვუფრთხილდები-მეთქი. ეს პარტიული ნომენკლატურის მითითება იყო და თუ მაგარი ბიჭი იყავი, სიმართლის თქმა გაუკლებოდა. თუმცა ხომ იცით, ტყუილს როგორი მოკლე ფეხები აქვს. შუა ქეიფში ორმა უცხოელმა ტულადეტი მომთხოვა. რა ვიცოდი, სად იყო? ხან სამხარეულოს კარი შევადე, აი, აქ არის-მეთქი და ხან საძინებლის. გავიშვირეთ მეც და ნომენკლატურაც. - როგორია ქართული ენა? - ებნერ-გუმბახს აქვს ნათქვამი, ენის სული ყველაზე კარგად მის უთარგმნელ სიტყვებში ცხადდება, იმაში, რასაც ვერც ერთ ენაზე ვერ თარგმნი. ეს ულამაზესი ქართული სიტყვებია "შენი ჭირიმე", "შენ გენაცვალე". აი, ეს არის ენის სული. ქართული ძალზე მდიდარი ენაა, ურთულესი გრამატიკით. არ არსებობს აზრი და ემოცია, რომელიც ქართულ ენაზე არ გამოითქმება. ქართული ანბანის უპირატესობა მსოფლიოში არსებულ ყველა ანბანთან შედარებით აშკარაა. ჯერ ერთი, ულამაზესია ეს-

თეტიკური თვალსაზრისით, მეორე, ზუსტად ისე იწერება, როგორც იკითხება. ეს ანბანისთვის უდიდესი პლუსია. სხვა საკითხია, როგორ ვექცევით ენას. ამ ბოლო დროს რაღაც უღირსობის განცდას ნერვავენ საზოგადოებაში და ეს უპირველესად ენისადმი დამოკიდებულებით შეიმჩნევა. ქართული სიტყვა არავის ისე არ სჭირდება დღეს, როგორც ქართველ ერს. კატეგორიულად არ მომწონს ენის გადატვირთვა უცხო სიტყვებით. რით არის ნაკლები შეთანხმება კონსენსუსზე, ნაწარმი - პროდუქტზე, შუამავალი - ბროკერზე? ქართული ენა იმდენად თავისუფლდება რუსულისგან, რომ ის ინგლისურმა დაიკაოს? მეცინება, უცხო სიტყვათა უაზრო რახარხუს რომ ატეხენ ხოლმე. ჰგონიათ, რაც მეტ უცხო და ხალხისთვის გაუგებარ სიტყვას იხმარენ, საზოგადოების თვალში ფასი მოემატება! სინამდვილეში ეს ენის შეურაცხყოფა და მეტი არაფერი. მუსრან მაჭავარიანის არ იყოს - "არა, სხვისი სამათხოვრო რა გეჭირს, თვარა კი!" სხვათა შორის, არც რუსული ენის მოძულეება შეიძლება, ძალზე საჭირო ენაა. თუ მტრობაზეა ლაპარაკი, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მტერთან გასამკლავებლად მისი ენა ზედმოწევნით კარგად უნდა იცოდეს. - ალბათ, ქართულის გარდა, არსებობს ენა, რომელიც განსაკუთრებით გიყვართ. - იტალიური და ესპანური ჩემი საყვარელი ენებია. რატომღაც ძალიან მიყვარს ამერიკულ ინდიელთა ენებიც, მათი დიალექტები. იცი, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს ვითვლი, ალბათ, და ინტერვიუს გაგრძელების თავიც აღარ მაქვს. სიცოცხლის ბოლოს ვგრძნობ, რომ ჩემს ცხოვრებაში არ ყოფილა ბედნიერება და სიხარული ახალი ენის შესწავლით გამოწვეული სიხარულის გარდა. ახლა ლუკმაპურიც კი სანატრელია ჩემთვის. დამპირდნენ, ფოთის საპატო მოქალაქის წოდება უნდა მოგიანჭოთო და ველოდები. გამიხარდება..."

ხათუნა პაიჭაძე



რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილი თუ ორმაგი სტანდარტი?

საქართველოს რუსეთთან კონფრონტაციას მოჰყვა ქვეყნის ინტერესების საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება. ბაღის რ-ნის დეპარტამენტი და საქართველოში სომხეთის, აზერბაიჯანის და თურქეთის პოლიტიკის განხორციელება. ამასთანავე, ნატოს ჩართვა საქართველოში ნიუნაშს თურქეთის ჩართვას, რაც ბაცილებით სახიფათოა ჩვენი ქვეყნისთვის. თურქეთმა 6 ჰა-ზე მეტი ტერიტორია მიიღო საქართველოს ხელისუფლებისგან. აზერბაიჯანის იმედოვნებს, რომ საქართველოსთან საზღვრის დაუსტამის შემდგომ დავით-ბარჯის მონასტრის ნაწილს და ჩიჩნოტურის კოშკს მიიღებს. ასევე, არსებობს ინფორმაცია, რომ მარნეულის რ-ნის სოფ. ახეკაში და სოფელში მდებარე მ-13 საუკუნის ქართული მონასტერი - ჰუჯაბი ა.წ. სექტემბრიდან სომხების საკუთრებაში გადადის. სარწმუნო ინფორმაციით, სომხები იმ საკითხსაც განიხილავენ, რომ თბილისის სომხეთის კულტურულ კვლავ ბამოცხადეს (?) სინტირ-სო, ამ ხელისუფლების წარმომადგენლები სომხების და აზერბაიჯანელების შთამომავლები ხომ არ არიან და მათგან მემკვიდრეობით ხომ არ მიიღეს ეს ქართული მიწა-წყალი? მონური მორჩილებით ჩვენი „მეობარი“ მეზობლების ნების აღსრულება კი ხდება იმ ფონზე, როცა ვრცელდება ინფორმაცია, რომ სომხებს ხალხს ბრალი დასდეს სხვათა ისტორიის მითვისებაში. ამ ბრალდების ავტორები არიან: ნინა ბარსოიანი - გამოჩენილი ამერიკელი არმენოლოგი, კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორი და ეთნოლოგი. პოლიტიკის მნიშვნელობის დოქტორი და ეთნოლოგი. საქართველო, 14 ივლისი №27, „ილორი“, №411, ივლისი).

ქალბატონი ნ. გარსიანი აღნიშნავს, რომ ყველა ძველსომხური წყარო ნატურალურ და გამოწვეულია ლტოლვით გამოჩენილნივინ სხვა ხალხებს შორის. თეოლოგია ხაგოსი თავის ნაშრომში ასახელებს, რომ სომხები საუკუნეების განმავლობაში წარმოდგენდნენ პრობლემას მრავალი ერისთვის, იმ სახელმწიფოსთვის, რომლის შემადგენლობაშიც ცხოვრობდნენ. მისი აზრით, სასურველია, გაერთიანებული ძალებით შეიქმნას კომისია და თავისი ადგილი მიუჩინოს ამ თემს, რომელსაც იერუსალიმის დარსების პრეტენზიაც აქვს. „სომხებს იძულებითი ბოდიშის მოხდა უნდა დაეკისროთ მთელი მსოფლიოს და ყველა ხალხის წინაშე. მოწვეულ უნდა იქნეს საერთაშორისო სასამართლო გაეროსა და იუნესკოს ჩართვაში და სომხებს მიეჩინოს თავიანთი ადგილი“ - ბრძანა დასასრულს თეოლოგ ხაგოსმა.

ერთი რამ ცხადია: ქართველებს რუსეთთან რომ გვეკონდეს გაფორმებული სტრატეგიული მოკავშირეობის ხელშეკრულება, საქართველოს მიწა-წყალზე პრეტენზიის მქონე „მეობარი“ ქვეყნები ვერაფერს გააკეთებდნენ. რუსეთთან კონფრონტაციით სხვა ქვეყნები არ უნდა სარგებლობდნენ. საგულისხმო ფაქტია, რომ ინგლისი, რომელიც დღეს საქართველოს დემონიზაციის აქტიური მონაწილეა, 1945წ. მხარს უჭერდა თურქეთს ჩვენი ტერიტორიის არ დაბრუნების საკითხში.

ქართველ ხალხს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ დასავლეთი ჩვენი ქვეყნის ინტერესებს დაიცავს. ყველაფერი, რაც კეთდება საქართველოში რუსეთის საწინააღმდეგოდ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას აუარესებს. ამერიკა და დასავლეთი რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესებას გეგმავენ, მაგრამ ეს ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე არ ხდება და ამგვარი მეთოდებით მხოლოდ ვადიზიანებთ რუსეთს. ამ ფაქტთან დაკავშირებით ვლ. პუტინმა აღნიშნა: „ამერიკა თავისი ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად თავის გეოპოლიტიკურ უპირატესობას იყენებს. შეუძლებელია უსასრულოდ ვითმინოთ ანტირუსული ისტორიის ზრდა, რაც უხეობაა“.

ამ მეთოდებით რუსეთს ვერაფერს აიძულებენ და მცოცავი ოკუპაციით საერთაშორისო თანამეგობრობას დაანახა, რომ მათი მითითებები ერთ უხერხულ ადგილზე ჰქდია. რუსეთმა ამერიკის ახალ სანქციებს სწრაფადვე უპასუხა და დიპლომატიური მისიის წარმომადგენლებს შეხვედრები დაუწესა. - „რუსეთის მხარე გააფრთხილებს ვერაფერი შეანერებს“ - აღხადებს გერმანიის დახვედრის ყოფილი შეფი - ვერნერ გროსმანი.

ამ ვარემოებას ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს ხელისუფლებამ და რუსეთთან დალაღობის დაწესების ნებისმიერი მცდელობა მისასაღმებელია. რაც შეეხება ახალ ფორმატს - „საქართველო, - ნატო, - რუსეთი“ რბილად რომ ვთქვათ, დიმილის მომგვრელია. საინტერესოა, რუსეთმა ი. ინაშვილის გულბრწყინო ღიმილით იმის მტკიცებას უნდა დაუჯეროს, რომ საქართველოს ტერიტორია არ იქნება გამოყენებული პლაცდარმად რუსეთის წინააღმდეგ?

ნატო თუ შემოვიდა ი. ინაშვილისგან ნებართვას დაელოდება? ან რად უნდათ ნატო, ერთი ადგილი რომ უთამაშონ დასავლეთს? ჩვენი სამშობლოს დაცულობისა და უსაფრთხოების ერთადერთი უაღრესად გარანტი რუსეთთან სამხედრო სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმებაა, ასევე, ბათუმში ერთობლივი, რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრი უნდა გაიხსნას. ქართველ საზოგადოებას შევახსენებ, რომ გერმანიის გაერთიანებას 1990წ. 3 ოქტომბერს წინ უძღოდა ამერიკის სახელმწიფო მდივნის - ჯიმს ბიკერის ვიზიტი მ. გორბაჩოვთან და გადაწყდა გერმანიის გაერთიანება იმ პირობით, რომ ნატო აღმოსავლეთით აღარ გაფართოვდებოდა, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ

პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია და უნგრეთი გაერთიანდა ნატოში, უფრო მოგვიანებით კი 12 ახალი ქვეყანა. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის ყოფილი ოფიცრის - რეი მაკოვენის ინფორმაციით, 2008წ. ამერიკის ელჩი რუსეთში - ბილ ბორნსი ვაშინგტონში გზავნი დეპეშას გრივით „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“ და გულახდილად წერს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაერთიანების შესახებ: - „ეს არის წითელი ხაზი რუსებისთვის“. ამ წითელ ხაზს კი რუსებს ე.წ. პარტიოტების „მიამიტური“ ნაზი დიმილი ვერ შეაცვლევენ.

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის სურვილის პარალელურად „პარტიოტთა“ პარტიული ტელევიზიის ეთერიდან გვეხმის (გ. არეშიძის) ასეთი რიტორიკა: „რუსეთმა წაგვართვა, ამერიკა გვეხმარება, ეს ხალხმა ხომ უნდა დაინახოს?“ - საინტერესოა, თავად თუ ხედავს როგორ დაინახოს ამ იდეოლოგიამ ქვეყანა? ან კიდევ - „რომ ამბობენ ვლ. პუტინი თავისი ქვეყნის ინტერესებს იცავს, ის კორუმპირებულია და ქურდების ინტერესებს იცავს, ქურდების უფროსია. პარტიისცემას დაგვარგავ იმ წარმომადგენლების მიმართ, ვინც მას დაეაბარაკება“. მსგავსი რიტორიკა მაყურებლის გაღიზიანებას იწვევს, რასაც ღია ეთერში გამოხატავენ. რას ნიშნავს ეს, რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის რეალური სურვილი თუ ორმაგი სტანდარტი?

ტელეკომპანია „ობიექტივი“ დემოკრატიული არხია, მაგრამ არ შეიძლება ყველას დაუთმო ეთერი და ყველანაირი სიბილწე განიხილო. ერთ-ერთ გადაცემაში მონაწილეთაგან (გვარებს არ ვასახელებ) სამმა ქალბატონმა (ქურნალი-ისტი ჩათვლით) პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე ისაუბრა, რაც იმით გააძარცვა, რომ ძველსომხური „პროფესია“, ყოველთვის იყო, არის და უფრო დაცული იქნებოდა. დამსწრეთაგან ორმა მამაკაცმა სულიერ პროსტიტუციაზე გადაიტანა საუბარი და ამით შეეცადნენ თემის განმუხტვას. არავის მოსვლია აზრად ეთქვა, რომ უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანას, რომელიც მართლმადიდებლურ ღირებულებებზე დგას, „არა იმრუშო“ ცხოვრების ნორმად უნდა ჰქონდეს აღიარებული და დაუშვებელია ასეთ ქვეყანაში პროსტიტუციის ლეგალიზაციაზე ფიქრიც კი.

აქ წარმოდგენილ ქალბატონებს პრეტენზია აქვთ ქართველობაზე, პარტიოტობაზე და ქვეყანას „გულშემატკივრობენ“, სინამდვილეში კი ისე გაღიზიანდნენ, თავდაც ვერ უგრძობნიათ. მსგავსი აზროვნების ადამიანებმა დაივიწყეს ვინ ვიყავით და საიდან მოვიდვართ, რა არის ზნეობა. - სხეულის გაყიდვა გაჭირვებამ აიძულა, მთავარია სული არ გაყიდო. - მაღალფარდოვანდ გვამუხანათებენ შენიღბული „პარტიოტები“.

სწორედ სულიერმა პროსტიტუციამ მოამზადა ნიადაგი ხორციელი პროსტიტუციისთვის და საქართველო ერთ დიდ ბორდელად აქცია, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები - სუტენორებად. მაშინარკომანიის და კრიმინალის ლეგალიზაციაც მოვახდინოთ, რადგან ეს ყოველივე ყოველთვის იყო და იქნება! ეს ის საკითხებია, სადაც მორალი არანაირ როლს არ თამაშობს!

ი. სტალინმა ჯერ კიდევ 1929 წელს დაუსვა წერტილი ტროცკისტების დაკანონებულ აღვირახსნილობას, უხეობას და ქვეყანა ტრადიციული ღირებულებებისკენ შემობრუნა. დასავლეთი კი იმ ჭაობში ჩარჩა, როგორც იყო და არის. ამასთანავე, სხვა ქვეყნების ჩათრევასაც ცდილობენ და მათი მსხვერპლი ის ქვეყნები ხდებიან, რომლებიც ივიწყებენ თავიანთ წარსულს. სწორედ ამიტომ გვიკვირებოდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი - ჯონ კერი: დაივიწყეთ წარსული, თუ გინდათ ამერიკა გვერდით დაგიდგეთო.

დასავლეთის პროპაგანდამ და ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკურმა სიბეცემ

საზოგადოება გახლიჩა და იმ ვირტუალური კეთილდღეობის მოლოდინით, რომელიც ვითომდა დასავლეთმა უნდა შეგვიქმნას ქვეყანას უფსკრულისაკენ მივაქანებთ. ხელისუფლება ერთ უხერხულ ადგილს უთამაშებს დასავლეთს, რომელიც ჩვენ-ნაირი ქვეყნების გადატაკების ხარჯზე მდიდრდება, მაგრამ ჩვენ რას ვაკეთებთ? დავდივართ ეროვნებაწარმოქმნილი არაქართულ ქალაქში და თავი მოგვწონს რომ ქართველები ვართ? მონების მონები ვართ და ვეღარ ვაზროვნებთ?

ქართველთა საპროტესტო გამოსვლები დასავლეთიდან მართული ყველა პროცესის წინააღმდეგ უნდა იყოს მიმართული. ის ქართველი ერის ინტერესებს ემსახურება და არაფერი გვაქვს თავის სამართლებელი და ბიბლიაზე საფუძვარი (სანდრო ბრეგვაძემ ინგა გრიგოლიას გადაცემაში ბიბლიაზე დაიფიცა, რუსეთთან არანაირი საერთო არა მაქვსო), თანაც ლიბერალისტების №1 პრიმადონა ქალბატონის გადაცემაში, რომელიც პროვოკაციულ შეკითხვებზე აგებული. თუ ქართველთა საპროტესტო გამოსვლა რუსეთის ინტერესებთან თანხედრავდა, მივესალმებო ამ მოვლენას, ვსარგებლობ გამოხატვის თავისუფლებით და ღიად ვაცხადებ: უზომოდ მძულს ევროპისა და ამერიკის პოლიტიკა, მათი იდეოლოგია და მათ დაკრულზე მოთამაშე ლიბერალისტებიც. ამასთანავე, დიდ პატივს ვცემ ვლ. პუტინს, როგორც თავის ქვეყნის ინტერესების დამცველსა და ზნეობრივი პოლიტიკის გამტარებელს. დამწამონ რუსეთში, ამით მხოლოდ ვიამყებ, რადგან უკანაღმთამაშე ლიბერალისტები ფული არ მკარნახობს იდეოლოგიას, ამას ქვეყნის წარსული ისტორია მკარნახობს, რომელსაც ვერაფერს ვერაფერს დაუპირისპირებს!

ქართველ ხალხს არ უნდა ადევნებდეს რომელი დაფინანსებული ლიბერალისტ-პედერასტი თუ ამჟღავნებული დედაკაცი რას დაარქმევს ქართველთა საპროტესტო გამოსვლას. ეს ქართველთა სულის გამოღვიძების დასაწყისია და პერიოდულობით უნდა გაგრძელდეს. მოთხოვნები კი უნდა გავაფართოვოთ: აღდგეს ეროვნების აღმნიშვნელი გრაფა პირადობის მოწმობაში; გამოცხადდეს მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგია; მოხდეს უცხოელებზე გასხვისებული მიწებისა და ობიექტების ნაციონალიზაცია; შეწყვედოს ქართული მიწების გადაცემა მეზობელი ქვეყნებისათვის; დაწესდეს სასჯელი ჩვენი ეროვნული და სარწმუნოებრივი გრძობების შეურაცხყოფისთვის; დაწესდეს კონტროლი უცხოეთიდან „ასო“-ების დაფინანსებაზე (რუსეთისა და ბელარუსის მსგავსად); აიკრძალოს და დაწესდეს სასჯელი პროსტიტუციაზე და დამთავრდეს საქართველოს ბორდელიზაცია (ამაზრუნია, როცა ხელისუფლება სუტენორობით ადგილი ფულით აფინანსებს საკუთარ ფუფუნებას).

ჩემო ძვირფასო ქართველებო! ლიბერალიზმი ქართველთა გადაშენებისკენ მიმართული იდეოლოგიაა, რომელიც თავის თავში მოიცავს ფაშიზმს, კომოსექსუალიზმს, ლესბოსელობას, ძალადობას. ამ ყოველივეს ნებისმიერი ფორმით უნდა დაუპირისპირდეთ, გავისხენოთ ილიას სიტყვები: „ერის პირქვე დამხობა, გათახსირება იქილამ დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას სსოვნა ეკარება ისტორიისა, მომასწავებელია ერის სული და ხორცი მშობლისა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო - მომავლისა“.

დღემდე სამშობლოს სიყვარულმა მოიყვანა ქართველი ერი და ამ სიყვარულმა უნდა დაგვადგინოს ის ბორტება, რომელიც დასავლეთის აგრესიულმა, ნეოლიბერალურმა ძალებმა საქართველოს თავს მოახვეს და ძალადობის ფორმად აქციეს. დასასრულ, გენერალ პეტრე ბაგრატიონის სიტყვებით დავამთავრებ:

„არ არსებობს ამ ქვეყნად სიმდიდრე, რომელსაც ჩემი ქვეყნის კეთილდღეობას ვამჯობინებდი!“



# ბუთურაულის წყარო დიაბეზს არჩენს?!

**მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ქვეყნად აღიარებულია ქვეითი, რომელიც ლაშის ნავთობზე სურავს და თითოეულ ქვეითელს ფუფუნებაში სმოკრების საშუალებას აძლევს. ისინი სწობილია, რომ არაბულ და აფრიკის ქვეყნებში სასაქონლო წყალი დიდი ღირებულება და ლიბრი წყალი ზომავს 4-ჯერ ძვირია სანაპიროსა.**

**საქართველოში რომ წყაროს წყლებია, ამის კაპრონი ქვეყანა ქვეითზე ნაკლებად მდიდარი არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლებების გაუმაძღრობის გადაწყვეტის არაპინ აღიარებს წყლის სააქციო საზოგადოების შექმნას და მის საფუძველზე თითოეული ქართველის სმოკრების დონის ანაღლებას. თავად განსაზღვრეთ — საშუალო ფასებით რომ გადავიანებარიყოთ, მხოლოდ აზერბაიჯანს, ჩვენთან, უფროდ მიუახსნ, ყოველ წელს, დაახლოებით სამი მილიარდი დოლარის ღირებულების სასაქონლო წყალი, მაშინ, როცა იგივე აზერბაიჯანელები ლაშის სმოკრად გვაძრობენ ზედას ჩვენთვის მოწოდებული ბუნებრივი აირის და სანაპირო ღირებულების გადახდისას.**

**ამ წერილში მოგიტყვობთ ქართული ბუნების კიდევ ერთ საოცრებაზე — წყაროზე, რომელიც უმკითხველს დააჯილდოს არჩენს.**

*“ჩემი ხელით ამოვიტანე უფანგავი ლითონის ბაკი ბათუმიდან, მეზობლები დავიხმარე და წყაროს წყლით წესიერად რომ ისარგებლონ, ადგილი ისე მოვაწყვე”...*

თუ შესაბამისმა გამოკვლევებამაც დადასტურა, შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფელ ბუთურაულიდან გამოგზავნილი შეტყობინება შესაძლოა, უნიკალური მოვლენის სათავედ იქცეს — მოსახლეობის თქმით, სოფელში შემთხვევით აღმოჩენილმა წყარომ უამრავი ადამიანი განკურნა დიაბეტისაგან. ჩვენც დავინტერესდით და სოფელ ბუთურაულის რწმუნებულ ამირან მახანაძეს ვესაუბრეთ.

— ამ წყაროს ძალა საკუთარ ჯანმრთელობაზე გამოვცადე და მართლაც სასწაული ქნა.

— წყარო როგორ აღმოაჩინეთ?

— სოფელში ერთი ვაკე ადგილია, ნატბურებს ვეძახით, ირგვლივ ფერდობებზე მშენიერი ფიჭვის ტყეებია. სწორედ აქ მინდოდა სიმინდის დათესვა. რახან ყამირი იყო, ფერდობზე ტრაქტორი ჩავიყვანე, მაგრამ ტრაქტორს მიწა ჩაეკეცა და უზარმაზარი ღრმული გაჩნდა. შევინძნე, რომ ღრმული შიგნით ნელ-ნელა სველდებოდა წყლით. მივხვდით, რომ მიწისქვეშა წყალს მივადექით.

ტექნიკაზე უარი ვთქვი და ხელით შევუდექი მიწის დამუშავებას. მუშაობისას ბუნებრივად, დადლივ კაცს წყალი მოუნდებოდა. ჩემს თავს ვუთხარი, რაღა შინიდან წამოდებული გამობარი წყალი ვსვამთ, აგერ, ეს წყალი დავლიოთ-მეთქი. ცივი წყალი იყო, ოღონდ, ბოლო ელუპზე გადავლაპისას ვიგრძენი, რომ წყალი ჩვეულებრივთან შედარებით, თითქოს ბლანტი იყო. ეს ბიჭებმაც თქვეს, — თითქოს სქელია, მაგრამ, გემრიელია და სანამ გმუშაობთ, ვსვამთ. მაშინ განსაკუთრებული არაფერი მიფიქრია, მაგრამ ერთი ეგ კი იყო, რომ რაღაცნაირად ჩიტვით შევსებუქდი. დიაბეტი მაქვს და ხშირად ვგრძნობ სისუსტეს. მოკლედ, სისხლში შაქრის დონე საგანგებოდ გავიზომე და 85 ნიშნულზე აღმოჩნდა. რა თქმა უნდა,

იმწამს არ დავიჯერე, რომ ეს წყაროს მოქმედებით მოხდა, მაგრამ რაღაც ეჭვმა გამკრა და შაქრიანი დიაბეტი ვისაც აქვს, ყველას ვთხოვე, — ჩვენი წყაროს წყალი დალიეთ-მეთქი. დალიეს და ყველას სისხლში შაქარი ნორმის ფარგლებში დადგა.

წყალი ლაბორატორიაშიც გავვზახეთ, მაგრამ გვითხრეს, — მაგის გამოკვლევას დიდი დრო სჭირდებაო. ჩვენ კი არ დაგვიცდია და ეს ამბავი ყველას შევატყობინეთ, ვისზეც ხელი მიგვიწვდა — შაქრიანი დიაბეტით უამრავი ადამიანი დაავადებული. თუკი მათ ვუშველით, ამაზე დიდი წყალობა რაღა უნდა იყოს! ჩემი ხელით ამოვიტანე უფანგავი ლითონის ბაკი ბათუმიდან, მეზობლები დავიხმარე და წყაროს წყლით წესიერად რომ ისარგებლონ, ადგილი ისე მოვაწყვე.

ამას წინათ, ეს უკვე მეორედ, კახელი კაცი ამოვიდა, ილოცებოდა, — ხუთი წლის შვილი მეავს დიაბეტით დაავადებული და ამ წყალმა მომიწინაო. ისიც კი გავიგეთ, რომ ვიღაცამ წყალი წაიღო და გაყიდა. ეს არ გამისარდა — ზეციერის ბოძებულს პირადი კეთილდღეობისთვის არავის დავანებებთ — წყარო ხალხის უნდა იყოს.

**მთერ მრამე**



## რა ბიზნესებს აკონტროლებდნენ მსოფლიოს სწობილი განგსტერები

**სხვა უამრავ “სიკეთესთან” ერთად ამერიკა ითვლება ქვეყანად, სადაც დაიბადა რეკეტი, როგორც “წარმოების” ერთ-ერთი დარგი და მკვლელობები ფულის გამოძღვისათვის. ამ წერილში გაგაცნობთ. ცნობილ განგსტერებსა და მაფიოზებს, რომლებიც მსოფლიოს შიშის ზარს სცემდნენ და თავის დროზე სხვადასხვა მსხვილ უკანონო ბიზნესში იყვნენ ჩართულნი.**

**ჯოზეფ ბონანო (1905-2002)** კუნძულ სიცილიაზე დაიბადა. 15 წლის დაობდა. 19 წლისა, მუსოლინის რეჟიმს ჯერ კუბაზე გაექცა, შემდეგ აშშ-ში გადაბარდა. მარან-ძანოს ბანდა იტალიის ყველის ქარხნებს, სამკერვალოებსა და სამგლოვიარო ბიუროებს აკონტროლებდა. ბანდის ლიდერის მოკვლის შემდეგ ბონანომ კაპიტალის დაგროვება შეძლო, მაგრამ საქმეებს სხვა, უფრო გავლენიანმა განგსტერებმა ჩამოაბიდე. ბონანომ დრმა მოხუცებულ-ლობადე მიაღწია.

**არტურ ფლანგინი (1902-1935)**, მეტსახელად “**შოლანდიელი შულცი**” ბრონქსში დაიბადა. პირველად ციხეში 17 წლის ასაკში, ქურდობისთვის მოხვდა. იქიდან გამოსული, სპირტიანი სასმელების ბიზნესში ჩაერთო (იმ პერიოდში ამერიკაში მშრალი კანონი მოქმედებდა). მის ბანდას კაპონე და ლუჩანო მტრობდნენ. განგსტერი 1935 წელს ანასტასიას ბრძანებით მოკლეს.

**ჯონ ბოტი (1940-2002)** 16 წლის იყო, როცა ქუჩურ ბანდაში — “**ბიჭები ფულტონ-როკაუეიდან**” მოხვდა და ცოტა ხანში მისი ლიდერი გახდა. “**ბიჭები**” ქურდობდნენ და მანქანებს იტაცებდნენ. 70-იან წლებში გოტი გამბინოს ერთ-ერთი კლანის წევრი გახდა, რომელსაც პოლ კასტელანო ხელმძღვანელობდა. გოტი კასტელანოსგან მალულად, ნარკოტიკებით ვაჭრობდა და როცა ბოსმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა, თავად მოკლა კასტელანო. ქურდალსტებმა გოტის “**ელგანტური ჯონი**” შეარქვეს. პოლიციამ მაფიოზი 1992 წელს მკვლელობისთვის გაასამართლა. გოტი 2002 წელს ციხეში გარდაიცვალა.

**მიიარ ლანსკი (1902-1983)** რუსეთში (დღევანდელი ბელორუსის ტერიტორიაზე) დაიბადა. მეიერ სუხომლიანსკი პატარა იყო, როცა მშობლებმა ამერიკაში წაიყვანეს საცხოვრებლად. ნიუ-იორკში ჯერ ჩარლზ ლუჩანოს დაუმეგობრდა, შემდეგ — ბავსი

სიგალს. სამეუღლე ბანდა — “**ბავი და მეიერი**” ჩამოაყალიბა. თავდაპირველად აზარტულმა თამაშებმა გაიტაცა, შემდეგ ფულს “**ათეთრებდა**”. როცა მეგობრებმა ფული ვერ გაიყვეს, ლანსკიმ სიგალის მოკლა ბრძანა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბანდის წევრები მთელი მსოფლიოს სამორინეებს აკონტროლებდნენ, ლანსკის ერთი დღეც არ გაუტარებია ციხეში.

**ზრანფსპო პასტილია (1891-1973)** 13 წლის იყო, როცა ბანდისტების გარემოცვაში მოხვდა და სახელიც შეიცვალა — ფრენკ კოსტელო გახდა. ჩარლი ლუჩანოსთან დამეგობრების შემდეგ აზარტულ თამაშებში ჩაება. მაფიოზების გარდა, იგი პოლიტიკოსებთანაც მეგობრობდა, რომელთა დახმარებითაც, არაერთხელ აარიდა პატიმრობას თავი. ვიტო ჯენოვესესთან დაპირისპირების შემდეგ, კოსტელო საქმეებს ჩამოშორდა და ღრმა სიბერემდე იცოცხლა.

**ალ კაპონე (1899-1947)** ბრუკლინში, იტალიელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა. ლუჩანოს მსგავსად, ისიც “**ხუთი წერტილის**” წევრი იყო. შეტაკებისას მიღებული ჭრილობის გამო, მეტსახელად “**სახენა-იარევი**” შეარქვეს. 1919 წელს ჩიკაგოში გადასახლდა და ჯონი ტორიოს ბანდას მიეკუთვნა. 26 წლისა, უკვე ამ ბანდის ლიდერი გახდა. მისი ძირითადი სფერო რეკეტი, სუტენირობა და სათამაშო ბიზნესი იყო. 1929 წლის ვალენტინობას უამრავი მაფიოზი გამოასალმა სიცოცხლეს. რამდენჯერმე დაუსხლტა პოლიციას, მაგრამ 1931 წელს გადასახადების გადაუხდელობისთვის გაასამართლეს. ციხიდან 7 წლის შემდეგ გამოვიდა და დიდხანს აღარ უცოცხლია.

**ბენჯამინ “ბაბი” სიგალი (1906-1947)**. მან ჩარლი ლუჩანოს ბრძანებით უამრავი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. 30-იან წლებში ბავსი პოლიციუდის ვარსკვლავებს დაუმეგობრდა და ლანსკისგან კაზინო

“ვლამინგო” გახსნა. როცა კოლეგებმა აღმოაჩინეს, რომ სიგალი ფულს იპარავდა, მოკლეს.

**ჯუზეპე ანტონიო დოტო “ჯო აღონ-ისი” (1906-1971)** ნეოპოლში დაიბადა. მოგვიანებით მისი ოჯახი ამერიკაში გადასახლდა. 1928 წელს აღონის მეგობრებთან ერთად, პიზანოს ბანდის წევრი გახდა. ფრენკ კოსტელო ბრმად ენდობოდა, ის ყველა მაფიოზურ გარჩევას ესწრებოდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ნიუ-ჯერსის სათამაშო ბიზნესს განაგებდა. ერთი პერიოდი რობერტ კენედის მხარდამჭერი იყო. დოტო ერთ-ერთი იმ განგსტერთაგანია, ვინც ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა.

**ბერნარდო პოლმანტანო** სიცილიაზე, სოფელ კორლეონეში 1933 წელს დაიბადა. ახალგაზრდა განგსტერზე ლუჩანო ლიჯიო ამბობდა: “**ანგელოზი იხვრის და ქათმის ტვინი აქვს**”. მოგვიანებით იგი კორლეონეების ბანდაში აიყვანეს. დროთა განმავლობაში, ძალაუფლება და ავტორიტეტი მთიპოვა და კორლეონეს ბანდის ლიდერი გახდა. იარაღით, ნარკოტიკებით ვაჭრობდა და სათამაშო ბიზნესს აკონტროლებდა. 90-იან წლებში 73 წლის მაფიოზი პოლიციამ დააკავა და იგი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში დარჩება.



„მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ სამეგრეო ბაიოსკოლისთანავე ბასცლა საქართველოს საზღვარს!

გასულ, 21 ივლისს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ უაღრესად საინტერესო და ხანგრძლივი განხილვა რომ დაიბრუნდა, მერე დავეფიქრდი, რომ დიდი ხანია მსგავს ღონისძიებას არ დავსწრებოვარ!

დასწრებით როგორ არ დავსწრებოვარ, უამრავი წიგნი ისტამბება ამ ბოლო დროს, უამრავი წარდგინება ხდება მათი, მეტი წილი მწერალთა კავშირის იმ დარბაზში, სადაც ქართული პროზის კლასიკოსები და სახალხო მეოსხნებად აღიარებული პოეტებიც კი დაბაბულები ელოდნენ მკითხველის განაჩენს!

დღეს რა ხდება? – დღეს, ყველაფერი ეს, ანარქიზმად გადახდებული, – ვინ არის მკითხველი, მთავარია ავტორმა წეროს, წიგნი ვინმემ დაასპონსოროს, დაიბეჭდოს. ნაცნობ-მეგობრები შეიყარონ იქ, სადაც როგორც ხუმრობენ ვახუშტი – მკითხველის განაჩენი, ავტორის და მისი ქმნილების „ყოფნა-არ ყოფნას“ ადგენდა, დღეს არაფერს სჭირდება, მთავარია, ვიღაცამ ხმა-მადლა და მარტივად, ერთი სიტყვა თქვას – „მაგარი“!

საბედნიეროდ, დღეს, ანარქიზმად ქცეული, სამხეობო გამოხატული წიგნისადმი პატივიმგობის გრძობის განმარტება მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში გამართულმა „მეგრული პოეზიის ანთოლოგიის“ განხილვამ, რომელსაც მისი შემდგენელი და ერთ-ერთი ავტორი, ცნობილი პოეტი და მწერალი, ბატონი გური ოტობაია წარადგენდა, მკითხველთან შეხვედრა კი, აკადემიკოს, ბატონი როინ მეტრეველს მიჰყავდა. ბუნებრივია, წიგნის საგანგებობას ისიც განსახილვავდა, რომ აქ, რომელიმე ერთი ავტორის კი არა, რაც დასაბამიდან დღემდე, შექმნილია და გაუფრებულა ძველ კოლხურ ენაზე, რომლის დღევანდელ სახესაც მეგრული წარმოადგენს, ათასწლეულების წინ ნაგალობი – „ბუა დიდა რე ჩქიმი, თუთა მუმა ჩქიმი, ჭიჭე ჭიჭე მურიცხევი – და დო ჯიმა რე ჩქიმი“ ათავსატებდა.

არაფერს უწყის, როდინა მოსდგამს დასაბამი ადამის ძეოა! აქ კამათავდა უნდა გააჩერო, რომ მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში წარდგინდა წიგნი „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ – დღევანდელი, 21-ე საუკუნე წამოაწიო!

მკითხველი რომ არ მოვაწყინო, მას მოთმინება უნდა ვთხოვო და მოვუყვე ერთი საინტერესო ამბავი, რომელიც ხუთი

წლის წინათ „სამხრეთ ტიროლის“ დედაქალაქ ბოცენში გადახდა. სამხრეთ ტიროლის თავისუფლების ჯგუფ „ანდრეას პოფერის“ წევრებთან შეხვედრისას, აფხაზეთსა და სამხრეთში ჩემი მოხსენების დასასრულს, საპენსიო ასაკს მიტანებულმა პროფესორმა მკითხა – რა იცით „ფესტისის დისკოს“ შესახებ, რომელსაც ავსტრიელმა პროფესორმა ჰერბერტ ძეიშმა მთელი სიცოცხლე შესწირა, „ფესტისის დისკო“ კი სრულიად უცნობმა, მათემატიკოსმა ვია კვაშილავან გაშიფრა?

გაოცებასთან ერთად, უზომოდ ბედნიერი ვიყავი, როცა ეს კითხვა მოვისმინე. შეგნებულად გავახანგრძლივე დასმული კითხვისთვის დადგენილი მოსაფიქრებელი რეკლამენტი და მორიდებით ვახსენე, რომ – ვია კვაშილავანს მიერ „ფესტისის დისკოს“ გაშიფრა შემთხვევითობას არ შეიძლება მივუეროს. არც ის არის გასაკვირი, რომ იგი „სრულიად უცნობმა ვია კვაშილავამ გაშიფრა“, რადგან ჰერბერტ ძეიშის მიერ გამოთქმული ვარაუდი – „ფესტისის დისკოს კოლხურ-იბერიულ ენაზე წაკითხვის შესახებ“ ბატონმა კვაშილავამ დადასტურა და მანამდე უცნობი ნაწერის გაშიფრა სწორედ ძველკოლხური ენის თანამედროვე – მეგრულ ენაზე განახორციელა. მეგრული ენის ცოდნამ მისცა მას მსოფლიოს უამრავი ენათმეცნიერის და მკვლევარის საუკუნოვანი ოცნების ახდენის საშუალება... ამ შეხვედრაზე მეტს არ გავაგრძელებ, მხოლოდ იმას გავიხსენებ, იმავე, საპენსიოდ გამხადებულმა პროფესორმა მკითხა – როგორც თქვენ ბრძანეთ, ძველკოლხურის თანამედროვე მეგრულ ენაზე თუ არსებობს წერილობითი ძეგლები, თუნდაც წიგნების სახით?

იმწამს მნიშვნელოვანი ვერაფერი გავიხსენე, მაგრამ მაინც ვუპასუხე – ძველკოლხურმა დამწერლობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ, როგორც ბატონმა კვაშილავამ დაგვიხატა, ფესტისის დისკოში (და, იმედია, მომავლის არქეოლოგიურ აღმოჩენებში) ინახება იგი. თუმცა, სამი დამოუკიდებელი ქართული შრიფტი, რომლებიც დღემდე გამოიყენება, ძველკოლხურის განვითარების შედეგია. უსათუოდ მოგაწვდით „ძველკოლხურ-მეგრულად“ გამოქვეყნებულ წიგნებს-მეთქი. ასე დავასრულე ჩემი ყოველწლიური, მოხსენება საქართველოზე „სამხრეთ ტიროლის თავისუფლების ჯგუფ ანდრეას პოფერის“ საპატიო წევრმა ბოცენში.

არ ვაპირებდი ამ შემთხვევაზე დაწერას, მაგრამ მეცნიერებათა აკადემიის სააქტო

დარბაზში მკითხველის სამსჯავროზე გამოტანილმა შესანიშნავმა წიგნმა „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ მიბიძგა და მეც ეს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი.

რასაც ქვემოთ ვიტყვი, ისიც უსათუოდ საინტერესო იქნება აფხაზეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკითხველისთვის, რომელსაც უთუოდ განუახლებს გულისტკივილს „სამხრეთ ტიროლის“ ტრაგიკული ისტორია, – რომელიც 100 წლის წინათ პირველ მსოფლიო ომში დამარცხებისთანავე ჩამოაჭრეს ავსტრიას და იგი, როგორც სამხედრო ნადავლი, ფაშისტი დუნე მუსოლინის იტალიას უსახსოვრეს, ავსტრია-გერმანიის წინააღმდეგ სამხედრო კოალიციაში მონაწილეობისთვის!

სამწუხაროდ, ამ თემაზე ქართველი ისტორიკოსები დუმან, რადგან მასზე სიმართლის თქმა წამკებიანია, – როგორ შეიძლება ე.წ. „დემოკრატიულ ვეროპაში“, არამტკობი პირთების, მთელი რევოლუციის უფლებები ირდევოდეს და ჩვენ იმ უფსკრულისკენ მივექანებოდეთ?!

აქაც ბოდიშს მოვუხდი მკითხველს მთავარი სათქმელიდან გადახვევის გამო, მაგრამ ეს ამბავი იმ ქვეყანაში ხდება, სადაც პირველად ვიხილე რამდენიმე თვის წინ სამხეობო გამოხატული „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“.

გასულ მაისს, გერმანიაში ყოფნისას ჩემი ავსტრიელი მეგობარი დოქტორ რაინერ გაისლერი დამიკავშირდა და ტიროლში, „იმსტის მონასტერში“ ჩამოსვლა მიხოვდა. თავისუფალი დრო მქონდა, მეც მასწავლავთანხმად და დათქმულ დროს ვესტუმრე კიდევ, მხოლოდ ახლა ვკითხე ჩემი იმსტში მიპატიუების მიზეზი. მოკლედ მითხრა – „თუ გახსოვს ხუთი წლის წინათ ჩვენი სტუმრობა გრაფ შპილმანებთან ერთად ბოცენში „ანდრეას პოფერის ჯგუფთან“ შენთვის საინტერესო წიგნი მიუღიათ საქართველოდან კოლხურ-მეგრულ ენაზე დაწერილი. ჩემგან შეიტყვეს, რომ გერმანიაში იმყოფებით და შენთან შეხვედრა ისურვეს, ამისათვის ჩამოგიყვანეთ.“

მეორე დღეს, გრაფ შპილმანებთან ერთად, რიეტის გავლით ბოცენში ჩავდივით და სადამოქამს კვლავ შეიკრიბა „სამხრეთ ტიროლის თავისუფლების ჯგუფ ანდრეას პოფერის“ პატრიოტები, მათ შორის უკვე პენსიაზე გასული პროფესორი, რომელიც „ფესტისის დისკოს“ წარმომავლობით იყო დაინტერესებული და თბილი მოკითხვის შემდეგ განმიცხადა – თქვენ ალბათ იცით „ფესტისის დისკოს“ ძველკოლხურ ენაზე გამოცემული წიგნის

შესახებ, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო იქნება მის შესახებ თქვენი მოსახრება და ამ ენის უფერადობა!

ჩემდა გასაკვირად, „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ პირველად ვიხილე. რა თქმა უნდა ეს დავამალე, მაგრამ, რამდენიმე წუთი მეგრული პოეზიის მარგალიტებს ვუკითხავდი სამხრეთ ტიროლულ პატრიოტებს, აღტაცებას რომ ვერ მალავდნენ ლექსის მუსიკალობის გამო!..

სწორედ ეს გამახსენდა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში ბატონი როინ მეტრეველის გამოსვლისას, როცა იქ შეკრებილ საზოგადოებას მოახსენა მისი შეფასება – „უზადოდ გამოცემული წიგნის მეცნიერული მნიშვნელობის შესახებ“!

მეც მერგო სიტყვა იმ დღეს ახალ-მოკვნილ წიგნზე. გასაკვირი და გადასარევი არაფერი მითქვამს, მაგრამ – თვალწინ დამიდგა მეგრული ენის წინააღმდეგ მებრძოლი ე.წ. ენათმეცნიერები, მღვდელმთავრები, სახელმწიფო მოხელეები და ზოგადად, – სამეგრელოსადმი მტრულად განწყობილი ჭიდიყვი... ვერ დავმალე ჩემი უკმაყოფილება იმის გამო, რომ – ვერცერთი მათგანი ვერ ვიხილე დარბაზში, სეპარატიზმად რომ მიიჩნევენ „ვეფხისტყაოსნის“ მეგრულად თარგმანს!

მათა სამწუხაროდ, როგორც ხუმროთ ვიხილეთ, – „მეგრული პოეზიის ანთოლოგია“ გამორჩენისთანავე გასცდა საქართველოს საზღვრებს და აფხაზეთ-სამხრეთ-დასავლეთ, შუაგულ „დემოკრატიულ“ ევროპაში გასხვისებულ და თითქმის საუკუნის განმავლობაში თავისუფლებისთვის მებრძოლ „სამხრეთ ტიროლში“ დაიბეჭდა თავი.

დაწმუნებული ვარ, არამარტო მეგრულენოვანი, სრულიად საქართველოს ქართული მოსახლეობა, ვისაც ქვეყნის მთლიანობა და ერის მომავალი ავლევებს, დიდი სიყვარულით და მოფრებთ მიიღებს ამ წიგნს. მოსალოდნელია, ბევრმა მათგანმა მეგრულის სწავლა გადაწყვიტოს მომავალში, კარგი იქნება, ამ უნიკალური წიგნის შემდგენლები და გამომცემლები ამ საქითხვეც თუ იზრუნებენ!

დავით ძობალია, საპატიო დოქტორი, ვეროპის, ხალხთა გამაერთიანებელი, პუ-მანტიარული ორდენის „Cordon Bleu du Saint Esprit“ შვედლიე

სააკაფილია კონსტიტუცია ვენეციის კომისიის ბეგრის ავლით მიიღო და დანაშაული ბუკიკიოს დაჯილდოებით „გამოიყიდა“



2010 წლის 4 თებერვალს, ვენეციის კომისიის თავმჯდომარე საქართველოში „ოქროს საწმისის“ ორდენით დაჯილდოვდა. ჯანი ბუკიკიოს საპატიო ჯილდო მიხედვით სააკაფილია თავად გადასცა. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2010 წელს კონსტიტუციის საბოლოო ვარიანტი მანამ მიიღო, სანამ ვენეციის კომისია საბოლოო დასკვნას გააკეთებდა. საქმე ისაა, რომ მანამდე ცნობილი იყო ვენეციის კომისიის შუალედური დასკვნა, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა პროექტს და სააკაფილია კარგად უწყობდა, რომ საბოლოო დასკვნა დადებითი არ იქნებოდა. კონსტიტუციონალისტი, ვახტანგ ძაბირაძე იხსენებს, რომ მაშინ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სხვა ტექსტი გაუშვა ვენეციის კომისიას, მაგრამ მიღებული იქნა აბსოლუტურად სხვა დასკვნა.

„უამრავი ნიუანსი იყო, მაგრამ მაშინ ამის ზუსტი განსახილვრა და დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. რა თქმა უნდა, კრიტიკულად ვიყავით განწყობილნი. სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს ბუკიკიო ორდენით დაჯილდოვდა თუ არა, მაგრამ

ის ნამდვილად მახსოვს, რომ კონსტიტუცია მიღებული იქნა მანამ, სანამ საბოლოო დასკვნას დადებდა ვენეციის კომისია. კონსტიტუციის მიღების შემდეგ, ვენეციის კომისიის დასკვნას, რა თქმა უნდა, უკვე დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა. საერთოდ, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისია იყო კრიტიკული. ირაკლი კობახიძემ, რომელიც მაშინ გავიცანი, ძალიან პროფესიული შეფასება მისცა მაშინდელი ხელისუფლების მიერ მიღებულ კონსტიტუციას.

სამწუხაროდ, დღეს თვლის, რომ უკეთესი კონსტიტუცია გვაქვს. ჩემი აზრით, არც წინა და არც დღევანდელი კონსტიტუცია ქვეყნის სტაბილურობას და სწორ განვითარებას ვერ უზრუნველყოფს. ვერ მოგვცემს იმ სახელმწიფოს, რომელიც სახელმწიფოც უნდა ჩამოყალიბდეს საქართველოში“, – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

ჯანი ბუკიკიომ ახალი კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებისას გაიხსენა 2010 წელს განხორციელებული ცვლილებები და აღნიშნა, რომ კომისიის მაშინაც კრიტიკული შენიშვნა ჰქონდა ზოგიერთ საკითხზე, რომელთა სრულყოფა ახლა მაინც უნდა მოხდეს.

„ვიმეორებ, კონსტიტუციის პროექტი კარგია. რა თქმა უნდა, არსებობს რიგი საკითხები, რომლის გაუმჯობესებაც შესაძლებელია, მაგრამ მთლიანობაში ეს კარგი ტექსტია და მე ძალიან მსურს, რომ ეს პროექტი მიღებული იყოს რამდენიმე და არა ერთი პარტიის მხარდაჭერით, რათა კონსტიტუციამ საჭირო ლეგიტიმურობა მიიღოს“, – განაცხადა ჯანი ბუკიკიომ.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრის გიორგი კვიციანიანის განცხადებით, ბრალდებებს იმ ადამიანების მხრიდან ისმენენ, რომლებმაც მთავრად უშუალოდ 2010 წლის კონსტიტუციას, სადაც ყველაზე დამახინჯებული იყო დემოკრატიის ყველაზე

საბაზისო პრინციპები, რაც აბსოლუტურად მიუღებელია.

„გამოთქვი ჩემი მხრიდან მზადყოფნა და ჩვენი პოლიტიკური გუნდის მხრიდან მზადყოფნა, რომ გაგაგრძელოთ ვენეციის კომისიისთან მუშაობა და ასევე პოლიტიკური დიალოგის არდასახვა იმ უზარმაზარი ნაბიჯების, რომელიც გადადგა ჩვენმა გუნდმა, ნამდვილად არის პოლიტიკური აქტი – მხოლოდ და მხოლოდ“, – განაცხადა გიორგი კვიციანიანმა.

მმართველი გუნდის ვიცე-პრემიერი გია ვოლსკი ვერ ხედავს შეთანხმების პერსპექტივას პრინციპულ საკითხებზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურობას და კრიზისის თავიდან აცილების გზას უკავშირდება. თუმცა ვოლსკი მიიჩნევს, რომ კონსტიტუციებს ყოველთვის უნდა ველოდოთ, რადგან ყოველთვის აქვს აზრი.

„პირადად მე და ჩემი გუნდის ბევრი წევრი ვერ ხედავს პერსპექტივას შეთანხმების, პრინციპულ საკითხებთან დაკავშირებით. ზოგს მიაჩნია, რომ კრიზისის თავიდან აცილება შეიძლება პროპორციული სისტემით ჩატარებული არჩევნებით. ზოგი თვლის, რომ მთავარია პარლამენტს ჰქონდეს უნარი შექმნას სტაბილური მთავრობა. აქედან გამომდინარე, კონსტიტუციური განსხვავებები არსებობს მიდგომებსა და ხედვას შორის. 2024 წელს კი, იმედია არ იქნება ასეთი დიაპაზონი სხვადასხვა დაპირისპირებულ მოსაზრებებს შორის. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, განსახილველია“, – განაცხადა ვია ვოლსკიმ.

მმართველი გუნდის შეთავაზებას არასერიოზულად უწოდებს ოპოზიცია. „ვეროპული საქართველოს“ წევრი, ირაკლი აბესაძე-ფიქრობს, რომ კონსტიტუცია სთან დაკავშირებით პროექტში სახეული ცვლილებები, საბოლოო ჯამში, ვენეციის კომისიის პრეზიდენტის უკმაყოფილება მიზეზი გახდა, თუმცა უკმაყოფილება ქარ-

თულ საზოგადოებაში გაცილებით დიდია.

„დიმილის მომგვრელია ის, რასაც „ქართული ოცნება“ საზოგადოებას სთავაზობს, სამწუხაროდ – არა მხოლოდ ქვეყნულ საზოგადოებას, არამედ საერთაშორისოსაც. ამბობდნენ, რომ ცვლიდნენ არსებულ უსამართლო სისტემას და ახლა გვეუბნებიან, რომ ეს უსამართლო სისტემა 2020 წელსაც იქნება გამოყენებული“, – ამბობს ირაკლი აბესაძე.

კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე კონსტიტუციის შეფასებისას ამბობს, რომ ხელისუფლებამ პოლიტიკური კაპიტალისთვის ზარალი უკვე ნახა და ახლა დათმობაზე არ წავა. მისივე თქმით, საკონსტიტუციო ცვლილება ორი მოსმენით მიღებულია, მესამე მოსმენით შეიძლება კონსტიტუციური ცვლილება შევიდეს, მაგრამ ძირეულად არ შეიცვლება.

„გამორიცხვლია ხელისუფლება რაიმე კომპრომისზე წავიდეს. ხელისუფლებამ დაკარგა პოლიტიკური ქულები თავისი პოლიტიკური კაპიტალიდან. მშვენივრად იცის და ყოველთვის იცოდა, რას ითხოვდა ოპოზიცია და საზოგადოებრივი სექტორი, მაშინ არ წავიდა დათმობაზე და დღეს რატომ უნდა წავიდეს ამ დათმობებზე? დათმობაზე ლაპარაკობს ბუკიკიო, რომელსაც იმედი გაუჩნდა, თუმცა მე ეს უბრალოდ დიპლომატიური რვერანსი მერია ქართული ოპოზიციური და საზოგადოებრივი სექტორისადმი. ბუკიკიო თვითონაც დაწმუნებულია, რომ ხელისუფლება ამ კომპრომისზე არ წავა. მაშინ, როცა პოლიტიკურად მომგებიანი იქნებოდა მისთვის ასეთი ნაბიჯის გადადგმა, არ გააკეთა და დღეს, რომ გადადგას ეს ნაბიჯი, უკვე პოლიტიკურად წამგებიანია. იმდენად ნათელია, რომ ამას ხელისუფლებაც მშვენივრად ხედავს და ნაბიჯს უკან არ გადადგამს“, – აღნიშნა ვახტანგ ძაბირაძემ.

თამთა ძარჩავა



პრეზიდენტ ტრამპის ხელმოწერით დასრულდა „ესე ამბავი“, რომელიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში მსოფლიოს საზოგადოების, განსაკუთრებით ამერიკელის ყურადღების ცენტრშია. იძულებითი ხელმოწერა – ასე შეიძლება ეწოდოს ანტირუსული (ანტირუსული, ანტირუსული კორუფტი) სულისკვეთებით გაუღებელი კანონპროექტს, რომელიც პრეზიდენტ ტრამპის ხელმოწერის შემდეგ კანონად იქცა.

ჩვენითვის, ისე, როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის, აშშ-ი დემოკრატიის, ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის მხარდამჭერი ქვეყნის განსახიერებაა, თუმცა, ამერიკელი კანონმდებლებისა და პოლიტიკოსების ძალისხმევით, მან რახანია დაკარგა მომხიბლველობა იმ საკითხებში, რასაც თავისუფლება, დემოკრატია, სუვერენობა ჰქვია.

ხელის მოწერის დროს, როდესაც პრეზიდენტი იტყვის, რომ ანტიკონსტიტუციური კანონპროექტს აწერს ხელს, რომელიც გააუარესებს რუსეთთან ურთიერთობას და არა მარტო მასთან, არამედ აშშ-ს მოკავშირე სახელმწიფოებთანაც, უპირველეს ყოვლისა ვეროკავშირთან, ნიშნავს ერთ მარტივ რამეს – კონსტიტუციის ფეხებზე დაკიდებას ანუ იმ დედა-კანონის, რომლითაც ასერიოდ მოაქვს თავი აშშ-ს.

ტრამპის, უმადლესი ადმინისტრაციის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ – კანონის, უკანონობის შესახებ ყველაფერი თავის ადგილას დააყენა და ურწმუნო თომებს, აშშ-ს სულით-ხორცად გულშემოტიკვრებს უნდა დაანახოს, რა ქვეყანაა აშშ-ი – სიკეთე კანონის დამცველი, საქმით – ვუხებზე დამკიდებელი.

ტრამპის განცხადებას, უკანონობის თაობაზე, უმად უნდა მოჰყოლოდა იმავე კონგრესის მკაცრი რეაგირება, მაგრამ საზოგადოებრივად რადიკალური ტალღა აწყო ბილი, სულაც არ ანადგვლებს, რას იტყვის ტრამპი ან კონგრესის მიერ მიღებულ კანონპროექტს რა დონით შეეძლება ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების ესკალაცია.

კონგრესი მრავალი ადამიანის საკრებულო და გამორიცხავს ვინმე ერთის პასუხისმგებლობას. კოლექტიური ორგანო, კოლექტიურად აგებს პასუხს ანუ ამ კოლექტიური ორგანოს ნებისმიერი წევრის პერსონალური პასუხისმგებლობის გარეშე. პასუხს ადმინისტრაციის აგებენებზე, თანაც პერსონალურად. ეს პროცედურაც შორს არ არის. ის, ვინც დაბეჯითებით მოითხოვდა პრეზიდენტის ხელმოწერას, ხვალ გვერდზე გადგება, ისევე ადმინისტრაციის შესახებაც ხელს და მართალიც იქნება, ვინაიდან ადმინისტრაციის, ამ შემთხვევაში ტრამპის, ნაცვლად ნიანგის ცრემლებს ღვრისა, ის მაინც უნდა გაეკეთებინა, ზომაზე მეტად აგრესიული პუნქტები სხვაგვარად ჩამოყვალბებინა და კონგრესისთვის

დაებრუნებინა, შესაბამისი ცვლილებების კანონპროექტში შესატანად. ტრამპს შეეძლო კანონპროექტის უხეზავს სასამართლოში გასაჩივრებაც, თუმცა მან ბრძოლის ნაცვლად, შეგუების პოზიცია ამჯობინა, რითაც სერიოზული ზიანი მიაყენა აშშ-ს ადმინისტრაციის, ადმინისტრაციის და პრეზიდენტის ინსტიტუტს.

აშშ-ი უსერიოზულესი დაპირისპირებას აქვს ადგილი – კონგრესისა და პრეზიდენტის, მისი ადმინისტრაციის სახით. ამ ბრძოლაში კონგრესი იგება, რაც იმის მომასწავლებელია, რომ აშშ-ი ანტიკონსტიტუციური ქმედებას აქვს ადგილი ანუ საპრეზიდენტო მმართველობიდან, საპარლამენტო მმართველობაზე გადასვლას. პრეზიდენტ ტრამპის პოლიტიკური ბრძოლის ველადან უბრძოლველად გასვლამ, გზა გაუხსნა სისხლის მოყვარულ, რეაქციულ სენატს და წარმომადგენელთა პალატას ერთპიროვნული მმართველობისკენ.

ტრამპმა პრეზიდენტის ინსტიტუტი გააფრთხილა თავისი ხელმოწერით და რაც არ უნდა სანანებელი სიტყვები თქვას, საქმეს არ ეშველება.

ტრამპის ხელმოწერიდან დაწყებული, მინიმუმ მომავალი სამწელიწადნახევრის განმავლობაში (ტრამპის დარჩენილი საპრეზიდენტო ვადა), ტრამპი დაკოდილი პრეზიდენტი იქნება. ასეთთან კი სახელმ-

ხელისუფლებაც რომ ვერ ინატრებდა. რუსეთი გახდა (გახადეს) ამერიკის დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლ ძალად, რომელიც ერევა აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნებში და ესმარება ტრამპს. ამ შემთხვევაში სასაცილოა იმის მოთხოვნა, რომ დამდინასტრაციის არჩევნებში ჩარევის ფაქტები გამოამხეუროს. პოლიტიკურმა ელიტამ ბრძანა – რუსეთის ჩარევის თაობაზე და მორჩა. მას სხვა მტკიცება არ სჭირდება. არადა სხვა ქვეყანას, რომ გაეკეთებინა მსგავსი რამ, პირველი, ვინც დამდინასტრაციის დოკუმენტებს მოითხოვდა, აშშ-ი იქნებოდა. რახანია აცხადებს რუსეთი, რომ აშშ-ი ერევა, თანაც უხეზად, რუსეთის ნებისმიერი დონის არჩევნებში, მათ შორის პრეზიდენტის, მაგრამ ვინ უვლებს ყურს?

მილიარდობით დოლარი რომ იყოფა რუსეთში დემოკრატიის განსავითარებლად, განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში – არ ნიშნავს ჩარევას?

როდესაც უკრაინაში, მრავალი წლის განმავლობაში აშშ-ს 5 მილიარდი დოლარი დახარჯა უკრაინელთა გადარეაბრებად და ბანდერელთა ამოსატივტივებლად, არჩევნებში ჩარევა არ არის?

ანალოგიური ვითარებაა მოლდოვაში, საქართველოში, სხვაგან, სადაც ამერიკელები არააოთუ ფინანსებით ერევიან ქვეყნების საშინაო საქმეებში, არამედ ძალადობრივად.

### პენსის ვიზიტიდან გამომდინარე

წიფობები ურთიერთობა გაჭირდება. მხედველობაში არა მარტო რუსეთი მყავს, არამედ დანარჩენი მსოფლიო. ტრამპმა ვერ დაიცვა პრეზიდენტის ინსტიტუტი, რაც სავალალოა არა მარტო აშშ-თვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის.

ახლა, რაც შეეხება მთავარ შემოქმედს – აშშ-ს პრეზიდენტის ინსტიტუტის ძალის „გამომცდელებ“ რუსეთს. ამ ქვეყანას ერთ-ერთი ანუ აშშ-ს პრეზიდენტთან ურთიერთობა უფრო აწყობდა, ვიდრე მრავალ კონგრესმენთან. არ გაუმართლა. ის ვერაფრით გათვლიდა, რომ ანტირუსული კამპანია, აგორებული აშშ-ს გარკვეული წრეების მიერ, ესოდენ მძლავრი იქნებოდა და კონგრესის ორივე პალატას, ორივე პარტიას ერთმანეთთან დააკავშირებდა და ანტირუსულ კანონპროექტს უდიდესი უმრავლესობით კენჭს აყრდნობდა. ერთზე, აშშ-ის პრეზიდენტზე იყო აქცენტი გაკეთებული, რაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან ასე იყო მრავალი წლის განმავლობაში, თვით აშშ-ს კონსტიტუციიდან გამომდინარე.

აშშ-ს გარკვეული თუ გაურკვეველი წრეების, ინსტიტუტების, ჯგუფების ძალისხმევით და მედიის გამოყენებით ისეთი ანტირუსული კამპანია აგორდა, უკეთესს, რუსეთის დღევანდელი მტერი, უკრაინის

სტრუქტურებითაც. ასეთი ქვეყნისგან დემოკრატიაზე ლაპარაკი, რომელიც რომ ვთქვათ, წმინდა დამაოგოვია.

რას მოიტანს ანტირუსული სანქციები? ყოველივე უარყოფითს, რასაც ჰქვია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა. ამ შემთხვევაში სანქციები ლახავს ორი ქვეყნის საზღვრებს და სხვა ქვეყნებსაც ესება. სანქციები გაართულებს, დაძაბავს ისედაც გაართულებულ და დაძაბულ მსოფლიო ვითარებას, რაც საგანგაშოა. რუსეთი შეეცდება გადადგას შესაბამის ნაბიჯებს, ისეთი, რომლებიც არა მარტო ამერიკაზე, სხვაზეც იმოქმედებს, მაგალითად ჩვენზეც.

ფუჭია ის მოლოდინი, რომ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი დაიცავს საქართველოს. დაიცვა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ბაიდენის ვიზიტმა ჩვენი ქვეყანა ან ალდკინა ტერიტორიული მილიანობა? მითუმეტეს ობამას ადმინისტრაციის გაცილებით მყარად გამოიყურებოდა შიდაპოლიტიკურ ბატალიებში, ვიდრე ტრამპის. დაიცვა აშშ-ს პრეზიდენტის ბუშის, მაღალი პათოსით გაუღებლობა სიტყვამ, წარმოთქმულმა თბილისში, თავისუფლების მოედანზე საქართველო 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისგან?

ვერც ერთი ქვეყანა, მათ შორის თუნდაც აშშ-ი, ვერ დააბრუნებს საქართველოს

დაკარგულ ტერიტორიებს, რის დაკარგვაშიც ლომის წილი საქართველოს იმპერიული ხელისუფლებისა და მოლიანად საზოგადოების სინდისზეა. რომ ვყოფილიყავით სხვანაირები, სხვაგვარნი, პრეზიდენტულად მოაზროვნეები, საერთაშორისო ურთიერთობების მცოდნენი, საქართველოს ტერიტორიულ მილიანობას არაფერი დაემუქრებოდა.

ეს, მაშინ – 2008 წლის აგვისტოს ომამდე დღეს? პოი, საოცრებაც, დღესაც ისეთივენი ვართ, როგორც მაშინ. ჩვენს აზროვნებაზე კამათ სვლამ არ იმოქმედა? ისეთივე გონებადასწულინი ვართ ამ საკითხში, როგორც მაშინ. უფრო მეტიც – უფრო აგრესიულიები.

ზოგიერთი პოლიტიკოსი, საზოგადოების ნაწილი თვლის, რომ აშშ, დასავლეთმა კოლექტიური ძალისხმევით ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ რუსეთის ჯარი თბილისში არ შემოსულიყო. რამდენად გაუთვითცნობიერებელი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი სისულელე თქვას. რუსეთი არავის გაუნერვია. ის თვითონ გაჩერდა. მის გეგმებში არ შედიოდა თბილისის აღება.

პენსმა თქვა, ის, რაც უნდა ეთქვა სტუმარს – მხარში დგომა, ტერიტორიული მილიანობა, ეკონომიკური დახმარება და ა.შ. ეს სიტყვები ხშირად გვსმენია, მაგრამ საქმე არ ჩანს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ტერიტორიის გამოთიანებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები – ლოზუნგებია და მეტი არაფერი, მაგრამ ეკონომიკური დახმარება რომ ასეთია? ის, რასაც აშშ-ი გვაძლევს, საქართველოს ამერიკულ ხელისუფლებას არ ჰყოფნის სახრავად და ხალხამდე რა დაევა? პენსსა და მის წინამორბედებს, ხომ კონკრეტულად არ უთქვამთ, ამ ფულს ხალხისთვის გაძლევთ და თუ დანიშნულებების მიხედვით არ გამოიყენებთ, მომავალში არაფერს მოგცემთ? ან რაში ანადგვლებს აშშ-ს საქართველოს მოსახლეობა?

მისი მთავარი საზრუნავი ხელისუფლების დაპურებაა – მეტი ამერიკელობისთვის. ხელისუფლებას, რომელსაც ხელში ჰყავს ქვეყანა და აკეთებს იმას, რაც გაუხარდება, აწყობს აშშ-ს, ვინაიდან მის მიერ არის გამოზრდილი და მის დავალებებს ასრულებს.

ასე, რომ, პენსის ვიზიტი გაუხარდა იმას, ვისაც უნდა გახარებოდა ანუ ხელისუფლებას, ოპოზიციას, არასამთავრობო სექტორს და ყველას, ვინც აშშ-ზე დამოკიდებული. მათი ლოიალური განწყობა საქართველოში ამერიკის ინტერესების განმტკიცების გარანტიაა. იქით ამერიკას, აქით საქართველოს პოლიტიკას საერთო ინტერესები ამოძრავებთ, რომელშიც ქვეყნის ინტერესი არ იკითხება.

ზ. კამლუბიძე  
პოლიტოლოგი

### ირაკლი შონია: დახვრებილი ზვიალ ბამსახურდიას თანამდებობი, უანგაროდ მყოფი მხარდამჭერები!

ქურნალისტი ირაკლი შონია სოციალურ ქსელში შემდეგი სახის პოსტს აქვეყნებს:

“პაუზებით და კალაშნიკოვებით დახვრებილი დამოუკიდებელი საქართველო! ხალხის მიერ არჩეული ეროვნული ხელისუფლება!

დახვრებილი ზვიალ ბამსახურდიას თანამდებობი, უანგაროდ მყოფი მხარდამჭერები! ნაწამები, დაპატიმრებული და დახვრებილი მწერლები, პოეტები, მეცნიერები, პროფესორები, მხატვრები, მასწავლებლები, ჟურნალისტები! ვარაზ გარაზიშვილიც ერთ-ერთი ისწორედ ინელიგენტ-თავანი იყო, პროფესიით მუსიკოსი, წმინდა ილია მართლის საზოგადოებიდან, უიარაღოთ დადგა იქ “სადაც ქარიშხალია” რუსთაველის გამზირზე! მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე სასტუმრო “თბილისიდან” (სადაც იმჟამად სიგუა იყო დაბანაკებული) სნაიპერის ნასროლმა ტყვიამ იმსხვერპლა ვარაზ გარაზიშვილი!

დღეამისი ქნი კლარა შედარია ყველა მიტინგის აქტიური მონაწილე გახლდათ და სიცოცხლის ბოლომდე შეურიგებელი დარჩა იარაღის გზით მოსული რეჟიმისადმი! დრმად მოხუცებული მაინც ეძიებდა სამართალს ყველა საპარტესტო აქციაზე...

ვიცოდეთ და გვახსოვდეს საქართველოს ღირსეული მამულიშვილები და ეროვნული გმირები” – წერს შონია.

### ბაჭირვას ბაქცეული ქართული სპორტსმენის წარმატება

საქართველო, შენ ვინ მოგცა, შვილი დასაკარგავი – ამოიკენესა ერთხელ პოეტმა. ჩვენი წერილს გმირი კი არამც თუ დაკარგულია, არამედ აღზევებული და საკმაოდ პატივსაცემი პიროვნებაა რუსეთში. იგი, უბრალოდ, საქართველოსთვისაა დაკარგული, როგორც წარმატებული სპორტსმენი, რომელსაც შეეძლო კიდევ უფრო შორს გაეგდო მისი სამშობლოს სახელი. არავინ იცის დღეს რამდენი ამგვარი ქართველი “მამელუქი” მოღვაწეობს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში.

მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ ლიდერობისთვის და გამარჯვებისთვის არის დაბადებული, თუმცა საქართველოში ვერც დაფასება მიიღო და ვერც ფინანსური ხელშეწყობა, ამიტომ 2013 წელს ქვეყნიდან წავიდა და ტრამპზე ახლა, რუსეთის სახელით გამოდის. ეს ქუთაისელი, სპორტსმენი, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე დავით ჩაკვეტაძეა.

ჩაკვეტაძეს ქართველი მწვრთნელები და სპორტის ქომაგები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ვერაინ დააფასა, მას ცხოვრებისთვის და ვარჯიშისთვის ელემენტარული პირობებიც კი არ ჰქონდა...

დავით ჩაკვეტაძემ საქართველოს შემდეგ, რუსეთს არაერთი წარმატება მოუტანა, 2016 წელს კი რუსეთის სახელით ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. რუსეთის სახელით



